www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 6 სექტემბერი, 2012 წელი. | №3105 (198) | ფასი 50 თეთრი

მეტი ოპტიმიზმი დემოკრატიის მიმართ

NDI-ს ახალი კვლევა

დათო გამისონია

ამერიკის "ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის" (NDI) საქართველოს ოფისის დირექტორმა ლუის ნავარომ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების პრეზენტაცია გამართა. გუშინ წარმოდგენილი კვლევა 31 ივლისიდან 12 აგვისტოს განმავლობაში სხვადასხვა საკითხის მიმართ საზოგადოების განწყობას ასახავს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

კადიროვი ინგუშეთს ტერიტორიულ პრეტენზიას უყენებს

სალომე ჯანიაშვილი

ვაინახებს შორის, შესაძლოა, სერიოზულად დაიძაბოს ურთიერთობა და ამის მიზეზი საკმაოდ პროზაული და "ტრადიციულია". შუა საუკუნეების ფეოდალური სამეფო-სამთავროების მსგავსად, საქმე ეხება ტერიტორიულ დავას მოძმე ჩეჩნებსა და ინგუშებს შორის. ჩეჩნეთის ხელმძღვანელმა რამზან კადიროვმა საჯაროდ განაცხადა, მეზობელი ინგუშეთის რომელ რაიონებს თვლის იგი ჩეჩნების ტერიტორიად. ინგუშეთის წარმომადგენლებმა ადმინისტრაციული საზღვრების დადგენის საკითხში მას თავშეკავებისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდეს.

4 სექტემბერს გამართულ მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე კადიროვმა განაცხადა, რომ, საარქივო დოკუმენტების თანახმად, ინგუშეთის სუნჟენის რაიონი და მალგობეკის რაიონის ნაწილი, ჩეჩნეთს ეკუთვნის.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

მიშელ ობამას ემოციური გამოსვლა დემოკრატების ყრილობაზე

ივა შილაკაძე

ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ შარლოტში აშშ დემოკრატიული პარტიის სამდღიანი ყრილობა სამშაბათს გაიხსნა. ტრადიციულად, პარტიები ყრილობებს იმ შტატებში ატარებენ, სადაც არც რესპუბლიკელებს და არც დემოკრატებს გადამწყვეტი უპირატესობა არ აქვთ. ფლორიდა, სადაც ერთი კვირის წინ რესპუბლიკელების ფორუმი ჩატარდა, "ხელიდან ხელში" გადადის, ჩრდილოეთ კაროლინა კი ობამამ ოთხი წლის წინ 0,3 პროცენტით მოიგო. ყრილობის გახსნაზე, როგორც დაგეგმილი იყო, სიტყვით ამერიკის პირველი ლედი მიშელ ობამა გამოვიდა. ამერიკის პრეზიდენტის ბარაკ ობამას მეუღლე შეეცადა, ამომრჩეველი დაერწმუნებინა, კვლავ აირჩიონ ობამა მეორე ვადით, ვინაიდან ის არის ადამიანი, "რომლის ნდობაც შესაძლებელია."

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

გოეთეს ინსტიტუტი - სრულყოფილების მისაღწევად

მთარგმნელობითი სახელოსნო გასული წლის გამოცდილებით აგრძელებს მუშაობას

ბელა ჩეკურიშვილი

ორენოვანი მთარგმნელობითი სახელოსნო, რომელიც თბილისის გოეთეს ინსტიტუტში ამჟამად მიმდინარეობს, წელს იმით არის გამორჩეული, რომ მასში მონაწილეობას იღებენ ქართული ენის მცოდნე გერმანელი მთარგმნელებიც, რომლებისთვისაც ქართული ლიტერატურის თარგმნაში დახელოვნება წმინდა ინტერესის სფეროს წარმოადგენს, ჩვენთვის კი იმის იმედს, რომ ამ ევროპულ ენაზე ქართული ტექსტების სრულყოფილი თარგმანების შექმნას, ბოლოს და ბოლოს, საფუძველი ეყრება.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

მთარგმნელობითი სახელოსნოს ხელმძღვანელები როზემარი ტიეცე, ალექსანდრე კარტოზია

1 აშშ დოლარი	1.6551⇓
1 ევრო	2.0841⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.6280⇓
1 თურქული ლირა	0.9104⇓
100 რუსული რუბლი	5.1401⇓

თბილისი	27°C - 17°C
ქუთაისი	29°C - 18°C
თელავი	29°C - 14°C
ზუგდიდი	29°C - 15°C
ბათუმი	27°C - 17°C

ნავთობი	3.12	-0.02	-0.77%
გაზი	2.79	-0.06	-2.15%
ოქრო	1,693.90	-2.10	-0.12%
ხორბალი	866.75	-22.00	-2.54%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ტელეტოვიჩის ბოლო აკორდი

ზურაბ თალაკვაძე

თორნიკე შენგელიამ 17 ქულა აკრიფა

ია ნა ყორდანიშვილის ფოტო

რაღაც მომენტში ზედმეტად ემოციურად ვითამაშეთ. სადღაც ცოტა აკადემიურად, მშვიდად იყო საქმე გასაკეთებელი და იდეაში, ბოსნიასთან მოსაგები იყო. კარგი, მოქნილი, მირზა ტელეტოვიჩის ბოსნია დასაგდები იყო და ბოლო აკორდი მაინც იმ კრიმინალმა აიღო. ტელეტოვიჩი ბოლო მეოთხედში ყველაფერი იყო. ორჯერ სამიანის სროლის დროს მიარტყა ფოლი მოწინააღმდეგეს. ბოლო სროლები ავტომატივით ისროლა და ლიდერმა შეასრულა. მერე, ბრიფინგზე იგორ კოკოშკოვიც იტყვის, ვიცოდი, რომ მირზა ბლოკიდან ამოვიდოდა, მიიღებდა ბურთს და გაუშვებდა, მაგრამ ხელი ვერ შევუშალეთ, ტელეტოვიჩი დღეს ევროპაში ერთ-ერთი Best არის და ჩააგდოო რა... კოკოშკოვი ძალიან კარგი მწვრთნელია და ძალიან კარგმა საქართველომ არარეალურად კარგ ტელეტოვიჩთან და ჭკვიან ბოსნიასთან 103:107 წააგო. ხდება ხოლმე.

ზაზა ფაჩულიას არ უნდა ეთამაშა და ითამაშა. ამ საკვალიფიკაციოში კაპიტანი კარგია და მომენტებში ასაწყობი რომ არ იყოს, უკეთესი ზაზა წამოვიდოდა. ბოსნიასთან ფაჩულიამ სხვის ტერიტორიაზე 8 მოხსნა დაირტყა. სერიოზული თემა. ზაზა ტრიალებდა, მრავალფეროვნად აკეთებდა საქმეს და ბევრს ასწრებდა. ფაჩულიაზე მთელი ბოსნია მიდიოდა და ჩვენი ბიჭი ბოსნიას შლიდა. გავარდა ელმედინ კიკანოვიჩი. რომელიც ცენტრობდა. გავარდა ნეჯად სინანოვიჩი. რომელიც ცენტრობდა. ორი ფოლი მიიღო ფაჩულიაზე ტელეტოვიჩმა, რომელიც ტელეტოვიჩობდა. და ბოსნიას ეს ეყო.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

გაზეთი "24 საათი" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდი ქართველი მეცნიერის, ლიტერატურისმცოდნის

რევაზ სირაძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

გამომცემლობა "ინტელექტი" და **გამომცემლობა "არტანუჯი"** ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

რევაზ სირაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გარდაიცვალა ქვეყნის საფინანსო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, აფხაზეტთის ომის ვეტერანი

თემურ დათიაშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი: 7,8 სექტემბერი, 17:00სთ, განსვენებულის ბინაში. მის: ვაშლიჯვარი, 4ა კორპუსი.
გამოსვენება: 9 სექტემბერს 15:00 სთ-ზე ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან.

N 05/09/01 2012 წლის 5 სექტემბერი ქ. თბილისი

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის (მეურვის) კანდიდატის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად:

1. 2012 წლის 6 სექტემბრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) ერთი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

2. სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ყველას კონკურსის გამოცხადებიდან 30 დღის განმავლობაში.

3. სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) კანდიდატი უნდა იყოს საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი, უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება და არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილება.

4. სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) კანდიდატად პირის რეგისტრაციისათვის ღია კონკურსის სამდივნოში (მისამართი: ქ. თბილისი, აბდუშელიშვილის ქ. N1, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია) წარდგენილი უნდა იქნეს:

ა) მსურველის წერილობითი განცხადება ან წარდგინება, რომელსაც თან ახლავს წარდგენილი პირის თანხმობა;

ბ) ავტობიოგრაფია ან CV;

გ) კანდიდატის ერთი ფოტოსურათი;

დ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

ვ) არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) სარეკომენდაციო ხასიათის წერილები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) ხელწერილი, რომ პირი გაეცნო სამეურვეო საბჭოს წევრისათვის მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ ინტერესთა კონფლიქტის პირობებს.

5. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 10 დღეში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს სამეურვეო საბჭოს წევრობის (მეურვის) კანდიდატების სიის გამოქვეყნება.

6. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ღია კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით შექმნას ღია კონკურსის სამდივნო და განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საჭირო ღონისძიებები.

მიხეილ სააკაშვილი

განსაკუთრებული ამბასადორიალი

მარი ახსიაშვილი

გუშინ თბილისში ყოველწლიური ამბასადორიალი დაიწყო. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელების შეხვედრა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ გახსნა. მან, ელჩებთან და სხვა დიპლომატებთან ერთად, გასული წლის მანძილზე გაწეული საქმიანობა შეაჯამა და მომავლის გეგმები დასახა. ვაშაძის თქმით, ელჩები შიდაპოლიტიკურ სიტუაციას და საგარეო პოლიტიკის მიზნებს ეცნობიან. ნატო-ში საქართველოს ელჩის გეგა მგალობლიშვილის განცხადებით, წლევანდელი ამბასადორიალი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ის რუსეთის ფართომასშტაბიან წვრთნებს უსწრებს წინ.

ამბასადორიალის პირველ დღეს დიპლომატებმა უსაფრთხოების საკითხები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის ამოცანები, ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში გაწევრიანების პროცესი და მრავალმხრივი ურთიერთობები განიხილეს. გუშინვე ელჩები პრეზიდენტის რეზიდენციაში მიხეილ სააკაშვილს შეხვდნენ და დავალებები მიიღეს.

ამბასადორიალი წელს განსაკუთრებით წარმომადგენლობითია, რადგან მას გუშინ, მიწვეული სტუმრის სტატუსით, შვედეთის, პოლონეთის, არგენტინისა და ფიჯის საგარეო საქმეთა მინისტრები ესწრებოდნენ, დღეს კი შეხვედრას ნატო-ს გენერალური მდივანი და ამერიკელი სენატორები შეუერთდებიან.

ამბასადორიალის პირველ დღეს გამომსვლელებმა ძირითადი აქცენტი ახალ პრიორიტეტებზე გააკეთეს. როგორც მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა, გასული წლის მანძილზე ბევრი პრიორიტეტი გამოიკვეთა, თუმცა იყო ხარვეზებიც, რასაც საგარეო უწყება დიდ ყურადღებას აქცევს.

"გამომსვლელთა ძირითადი აქცენტი ახალ პრიორიტეტებზე გაკეთდა იმ რეგიონების მიხედვით, რომლებიც ჩვენთვის პოლიტიკური და ეკონომიკური კუთხით არის მნიშვნელოვანი. პრიორიტეტები გამოკვეთილია, თუმცა დიდი გამოწვევის წინაშე ვართ - საქართველოსთან მიმართებაში ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისა და მისი პოლიტიკის გათვალისწინებით. გამომსვლელებმა ისაუბრეს როგორც რეგიონულ საკითხებზე, ასევე იმაზე, ცალკეული სახელმწიფოს დედაქალაქში რაზე უნდა გაკეთდეს აქცენტები, რომ საქართველოს ინტერესები მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული," - აღნიშნა კალანდაძემ.

ევროკავშირში საქართველოს წარმომადგენლის სალომე სამადაშვილის განცხადებით, 2013 წელი ევროინტეგრაციის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. მისი თქმით, 2013 წლის ბოლოს საქართველო გეგმავს, რომ დაასრულოს ასოცირებული წევრობისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები ევროკავშირთან. სამადაშვილის ინფორმაციით, 2013 წლის მეორე ნახევარში ევროკავშირის თავმჯდომარე იქნება საქართველოს მეგობარი ქვეყანა ლიტვა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი სწორედ ვილნიუსში ჩატარდება.

"ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ სამ თვეში დავასრულებთ ევროკავშირთან ურთიერთობასთან დაკავშირებულ ძალიან მნიშვნელოვან საკითხებს. 2013 წლის ბოლოსთვის კი, იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მოქალაქეებს შეეძლებათ უვიზო მიმოსვლა შენგენის ზონაში," - დასძინა სამადაშვილმა.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თორნიკე გორდაძის შეფასებით, წლევანდელი ამბასადორიალი იმითაც არის გამორჩეული, რომ საქართველოში დიდი რაოდენობით მნიშვნელოვანი უცხოელი სტუმარი ჩამოდის.

"ეს ვიზიტები ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო ამბასადორიალისთვის, არამედ ზოგადადაც. იცით, რომ სექტემბრის ბოლოს იგეგმება მნიშვნელოვანი სამხედრო წვრთნები რუსეთის მხრიდან. ამ ადამიანების ჩამოსვლა ხაზს უსვამს მათ მხარდაჭერას საქართველოს დაახლოებისკენ ევროკავშირთან და ნატოსთან. ამბასადორიალზე განვიხილავთ იმ მიღწევებს, რაც განხორციელებული იქნა ევროინტეგრაციის პროცესში და იმ გეგმებს, რაც გვაქვს. კერძოდ, ყოვლისმომცველი ვაჭრობა და უვიზო მომისვლა - ეს შეთანხმებები არის თითეული მოქალაქისთვის კონკრეტული მნიშვნელობის შემცველი და სარგებლობის მომტანი," - განაცხადა გორდაძემ.

"ამბასადორიალი 2012"-ის პირველი დღის დასასრულს, სიტყვით საქართველოს პრემიერი ვანო მერაბიშვილი და თავდაცვის მინისტრი დიმიტრი შაშკინი გამოვიდნენ.

დიპლომატიური წარმომადგენლობების ყოველწლიური შეხვედრა 3 დღის განმავლობაში გაგრძელდება და მასზე საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებსა და მიზნებს განიხილავენ.

უცხოელი სტუმრები ამბასადორიალის მიღმა

შვედეთის და პოლონეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელებმა კარლ ბილდტმა და რადოსლავ სიკორსკიმ, რომლებიც გუშინდელ ამბასადორიალზე სპეციალური სტუმრის სტატუსით იყვნენ მიწვეულები, პარალელურად, ოპოზიციასთან და ხელისუფლებასთან ცალკეული შეხვედრებიც გამართეს. ისინი შეხვდნენ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს. მოგვიანებით კი ამ უკანასკნელთან ერთად ერთობლივი ბრიფინგიც გამართეს. მათი განცხადებით, ევროკავშირი ყურადღებით აკვირდება საქართველოში მიმდინარე საარჩევნო კამპანიას. როგორც კარლ ბილდტმა და ვლადისლავ სიკორსკიმ აღნიშნეს, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯები გადაიდგა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის კუთხით. მათი თქმით, გრიგოლ ვაშაძესთან შეხვედრაზე ისაუბრეს ღრმა და ყოვლისმომცველ ვაჭრობასა და გამარტივებულ სავიზო მიმოსვლაზე.

"ჩვენც გვქონდა ასეთი სიძნელეები და გვინდა, რომ ბიუროკრატია დაირღვეს და გაადვილდეს მიმოსვლა," - აღნიშნა სიკორსკიმ.

შვედი და პოლონელი დიპლომატების განცხადებით, საარჩევნო პროცესს თვალს ყურადღებით ადევნებენ.

"ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანა და გაიზარდა პარლამენტის უფლებები. კარგია, რომ სხვადასხვა კანონი მიიღო ხელისუფლებამ საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობისა და ტრანსფარენტულობისთვის. ხელისუფლებაც და ოპოზიციაც საუბრობენ, რომ მთელი მსოფლიო აკვირდება ამ არჩევნებს. სამყაროს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ თავისუფლები ხართ," - დასძინა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა. მისი შვედი კოლეგის თქმით კი, საქართველოში რეგულარულად ჩამოდიან და სურთ, რომ დიალოგი ევროინტეგრაციაზე კიდევ უფრო გაღრმავდეს. კარლ ბილდტისვე ინფორმაციით, 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ევროკავშირის 2 000-მდე დამკვირვებელი იქნება.

"საქართველოს ხელისუფლება ამბობს, რომ კიდევ მეტი უნდათ და სურთ, მეტი ევროპელი დამკვირვებელი დაესწროს ქართულ არჩევნებს, რაც არის ძალიან კარგი. ჩვენ წლების მანძილზე თვალს ვადევნებთ საქართველოს და ნამდვილად ბევრი რამ გაკეთდა. არ არსებობს იდეალური შედეგები, მაგრამ ეს უნდა იყოს საუკეთესო არჩევნები, რაც კი ოდესმე ჩატარებულა საქართველოში და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ამას ყველაზე ნათლად დამკვირვებლები იტყვიან, მათ უნდა გააკეთონ ძირითადი დასკვნა," - განაცხადა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

თავის მხრივ, საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა გრიგოლ ვაშაძემ შენიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებისა და თითოეული მოქალაქის სურვილია, არჩევნები ჩატარდეს ევროპული სტანდარტით, რაზეც მან ევროპელ კოლეგებთანაც ისაუბრა.

"ეს არ არის მათი პირველი ვიზიტი, იცნობენ ქვეყნის შიდა პროცესებს და საგარეო პოლიტიკურ ვითარებას. ვისაუბრეთ საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობაზე, საქართველოს ნატო-სთან ინტეგრაციაზე, საქართველო-რუსეთის პრობლემაზე. მათი მხრიდან მაღალი შეფასება აქვს ევროინტეგრაციის პროცესსა და საქართველოში მიმდინარე რეფორმებს," - დასძინა ვაშაძემ.

გუშინვე, პოლონეთისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრები საარჩევნო ბლოკ "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების" ლიდერებს შეხვდნენ. როგორც ბლოკის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, საგარეო საქმეთა მინისტრები დაინტერესდნენ საარჩევნო ბლოკის, როგორც ყველაზე ძლიერი და რეალური ოპოზიციის სტრატეგიით.

"შეხვედრაზე მინისტრებმა პირობა დადეს, რომ ყველაფერს გააკეთებენ საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის. ჩემი მხრივ, მადლობას ვუხდი ორი ქვეყნის მთავარ დიპლომატს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაში გაწეული დახმარებისთვის," - განაცხადა ივანიშვილმა.

შვედეთისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს კარლ ბილდტსა და ვლადისლავ სიკორსკის "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი გიორგი თარგამაძე და მოძრაობის საერთაშორისო მდივანი გიორგი რუხაძეც შეხვდნენ. თარგამაძემ ყურადღება გაამახვილა სამართლიანი არჩევნების ჩატარების მნიშვნელობასა და კონკურენტული საარჩევნო გარემოს შექმნის აუცილებლობაზე, ასევე, იმ საგარეო საფრთხეებზე, რომლის წინაშეც ქვეყანა დგას. "ქრისტიან-დემოკრატებმა" კარლ ბილდტსა და ვლადისლავ სიკორსკის ქდმ-ს საარჩევნო პროგრამა გააცნეს. გიორგი თარგამაძემ ყურადღება გაამახვილა "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ხედვებზე ეკონომიკური განვითარების, ჯანდაცვის, განათლებისა და სოფლის მეურნეობის კუთხით.

დღეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე არგენტინელ კოლეგას შეხვდება. ასევე, თბილისს ეწვევიან ნატო-ს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი და ამერიკელი კონგრესმენები.

აშშ-ს ახალი ელჩი საქართველოში

გუშინვე ამერიკის ახალმა ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს რწმუნებათა სიგელები გადასცა. მან სასტუმრო "რედისონში" მიმდინარე შეხვედრა კომენტარის გარეშე დატოვა. გრიგოლ ვაშაძე იმედოვნებს, რომ ამერიკის ახალ ელჩთან თანამშრომლობა ისეთივე ნაყოფიერი იქნება, როგორიც მის წინამორბედებთან იყო. ამის შესახებ ვაშაძემ ჟურნალისტებს რიჩარდ ნორლანდთან შეხვედრის მერე განუცხადა.

"ამერიკის ახალმა ელჩმა რწმუნების სიგელის ასლი გადმოგვცა და პირველი გაცნობითი შეხვდრა გვქონდა. შემჭიდროებულ ვადებში ვეცდებით, რომ პრეზიდენტს გადასცეს რწმუნებათა სიგელები. ამის შემდეგ ელჩი თავისი მოვალეობის სრულფასოვან შესრულებას შეუდგება. თუმცა იგი უკვე ჩართულია ამ საქმიანობაში, დელეგაციასთან ერთად მოძრაობს და უკვე შეხვდა პრეზიდენტს. ის ძალიან გამოცდილი დიპლომატია და ყველა ჩვენი კოლეგა, რომელსაც მასთან შეხება ჰქონია, მას ახასიათებს, როგორც უაღრესად გათვითცნობიერებულ და ინფორმირებულ პიროვნებას. მეც დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ჩვენი თანამშრომლობა იქნება ისეთივე კარგი და ურთიერთსასარგებლო, როგორიც ბატონ ბასთან და ბატონ ტეფტთან გვქონდა," - განაცხადა ვაშაძემ.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

მეტი ოპტიმიზმი დემოკრატიის მიმართ

პირველი გვერდიდან



კვლევა შემთხვევითი შერჩევის წესით თბილისში, ასევე საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში ჩატარდა. პირისპირ ინტერვიუს მეთოდით 2038 ადამიანი გამოიკითხა. კვლევის საშუალო ცდომილების ზღვარი პლუს-მინუს 3 პროცენტია.

კვლევის თანახმად, 3 უმთავრეს ეროვნული მნიშვნელობის საკითხად სამუშაო ადგილების შექმნა - 57 პროცენტი; ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა - 35 პროცენტი და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა - 34 პროცენტი - რჩება.

დასაქმების საკითხზე დეტალურად ჩატარებული გამოკითხვიდან ირკვევა, რომ მოსახლეობის 67 პროცენტი თავს უმუშევრად მიიჩნევს. მათგან 33 პროცენტი სამსახურს ეძებს (მონაცემი მოიცავს როგორც უმუშევარებს, ისე პენსიონერებს, რომლებიც სამსახურს ეძებენ). უმუშევართა 6 პროცენტი სამსახურს არ ეძებს, მათ შორის, უმუშევრებთან ერთად, პენსიონერებიც არიან, რომლებიც სამსახურის პოვნით დაინტერესებული არიან, თუმცა არ ეძებენ. მოსახლეობის 28 პროცენტი არააქტიურ შრომით რესურსს წარმოადგენს, მონაცემში ის სტუდენტები, დიასახლისები, პენსიონერები ერთიანდებიან, რომლებიც სამსახურის ძებნით დაინტერესებული არ არიან. სრულ ან ნახევარ განაკვეთზე კი 33 პროცენტია დასაქმებული.

NDI დასაქმების სამინისტროს საკითხითაც დაინტერესდა. გამოკითხულთა 68 პროცენტი დასაქმების სამინისტროს შექმნას ეთანხმება; 16 პროცენტი - არა, ასევე 16-მა პროცენტმა კითხვაზე პასუხი არ იცის.

ამავე კვლევით, 48 პროცენტი მიიჩნევს, რომ დასაქმების სამინისტრო საქართველოში დასაქმების მდგომარეობას გააუმჯობესებს; 2 პროცენტი უარყოფით პასუხს სცემს; 30 პროცენტი ამბობს: "არ ვიცი."

რაც შეეხება ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს, თბილისის მასშტაბით გამოკითხულთა 67 პროცენტი მთავარ პრობლემად ელექტროენერგიის გადასახადთან დასუფთავების მიბმას ასახელებს. მას უკვე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევის მონაცემები მოსდევს. გამოკითხულთა 43 პროცენტი მეორე პრობლემატურ საკითხად, მაღალ კომუნალურ გადასახადებს ასახელებს. 28 პროცენტი - გაზმომარაგების პრობლემას, ხოლო 26 პროცენტი - საზოგადოებრივი ტრანსპორტის სიძვირეს მიიჩნევს.

კიდევ ერთი სლაიდის მიხედვით, თბილისში გამოკითხულთა 86 პროცენტის აზრით, 2008 წელთან შედარებით ყველაზე მეტად გაუარესებული საკითხი ელექტროენერგიის გადასახადთან დასუფთავების გადასახადის მიბმაა. 49 პროცენტი კი მიიჩნევს, რომ გაზმომარაგების საკითხი გაუმჯობესდა.

ერთადერთი ადგილობრივი საკითხი, რომლის შესახებაც მოსახლეობას პოლიტიკოსებისგან მეტის მოსმენა სურს, სწორედ ელექტროენერგიის გადასახადთან დასუფთავების მიბმაა.

რაც შეეხება ზოგადად ქვეყნის განვითარების ტენდენციას, რესპონდენტთა 47 პროცენტის აზრით, საქართველო "ძირითადად სწორი მიმართულებით ვითარდება"; 7 პროცენტი ფიქრობს, რომ "ნამდვილად სწორი მიმართულებით ვითარდება"; 11 პროცენტის აზრით, "საერთოდ არ იცვლება"; 14 პროცენტი აღნიშნავს, რომ "ძირითადად არასწორი მიმართულებით ვითარდება"; 7 პროცენტი დარწმუნებულია, რომ "ნამდვილად არასწორი მიმართულებით ვითარდება."

ლუის ნავაროს ოპტიმიზმის საფუძველს კი კითხვარში მოცემული დემოკრატიის საკითხი აძლევს. კითხვაზე - "საქართველოში ამჟამად არის თუ არა დემოკრატია?" - რესპონდენტთა 42 პროცენტი დადებითად პასუხობს. უარყოფითი პასუხი გამოკითხულთა 40 პროცენტმა გასცა. დანარჩენმა 17-მა პროცენტმა კი არ იცის, საქართველოში დემოკრატია არის თუ არა.

დემოკრატიის არსის შესახებ მოსახლეობის დამოკიდებულებას თუ შევხედავთ, 58 პროცენტის აზრით, ესაა სიტყვის/მედიის თავისუფლება და განსხვავებული აზრის მოსმენა, 32 პროცენტის შეფასებით, კანონის წინაშე თანასწორობა და სამართლიანობის დაცვა, 2 პროცენტი ამბობს, რომ დემოკრატიულობის ხარისხი ადამიანის უფლებათა დაცვით განისაზღვრება, 15 პროცენტი მიიჩნევს, რომ დემოკრატია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებია. 14 პროცენტი დემოკრატიას სამუშაო ადგილებში ხედავს, 13 პროცენტის აზრით, დემოკრატია არის შესაძლებლობა აკეთო ის, რაც გინდა.

ლუის ნავაროს თქმით, **"ივნისში ჩატარებულ კვლევასთან შედარებით, დემოკრატიის მიმართ საქართველოს მოქალაქეები უფრო ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. თუმცა იმ რესპონდენტთა უმეტესობა, ვისაც "მაესტროსა" და "გლობალ ტვ-ს" სატელიტური ანტენების დაყადაღების შესახებ ინფორმაცია აქვს, ამ გადაწყვეტილებას არ ამართლებს."**

დეტალური მონაცემებით ირკვევა, რომ მოსახლეობის 73-მა პროცენტმა იცის, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მონიტორინგის შედეგად, "გლობალ TV-სთან" დაკავშირებული საქმის გამო 74 მილიონი ლარით დააჯარიმეს.

ივანიშვილის დაჯარიმებას გამოკითხულთა მხოლოდ 16 პროცენტი ეთანხმება; 41 პროცენტი არ ეთანხმება; 39 პროცენტს ჩამოყალიბებული აზრი არ აქვს და ამბობს: "არ ვიცი;" 4 პროცენტი პასუხის გაცემაზე უარს აცხადებს.

გამოკითხულთა 44 პროცენტი კოალიცია "ქართული ოცნების" მიერ ამომრჩეველთა მოსყიდვის ბრალდებით ტელეკომპანია "მაესტროს" სატელიტური ანტენების დაყადაღებას არ ემხრობა, ხოლო პროკურატურის გადაწყვეტილებას 31 პროცენტი იზიარებს.

არჩევნების შემდეგ "მასთ ქერის" პრინციპის გავრცელებას კი 47 პროცენტი უჭერს მხარს და 6 პროცენტი არ ეთანხმება. 44 პროცენტი პასუხობს, რომ არ იცის.

მერაბიშვილისა და ივანიშვილის გეგმები

პოლიტიკური საკითხების კვლევისას NDI-ს გამოკითხვაში მხოლოდ ორი პოლიტიკური ფიგურა - ვანო მერაბიშვილი და ბიძინა ივანიშვილი ფიგურირებენ.

კვლევის თანახმად, მოსახლეობის უმრავლესობა პრემიერ-მინისტრად ვანო მერაბიშვილის დანიშვნას მიესალმება. როგორც მონაცემებიდან ჩანს, 63 პროცენტი ამ გადაწყვეტილებას ეთანხმება; 16 პროცენტი კი - არა; 18 პროცენტი პასუხობს - არ ვიცი; 3 პროცენტი პასუხის გაცემაზე უარს ამბობს.

რაც შეეხება ტერიტორიულ განაწილებას, თბილისში დადებითი პასუხი 55-მა პროცენტმა გასცა; სხვა ქალაქებში - 62-მა; სოფლებში - 69 პროცენტმა.

გამოკითხულთა 52 პროცენტი მიიჩნევს, რომ ვანო მერაბიშვილის დანიშვნის შედეგად მთავრობაში პრემიერ-მინისტრის როლი გაიზარდა; 15 პროცენტი ფიქრობს, რომ არ შეცვლილა.

პრემიერ-მინისტრის გეგმის შესახებ ინფორმირებულთა რაოდენობა კი თითქმის თანაბარია. 47 პროცენტი პასუხობს, რომ მერაბიშვილის გეგმის შესახებ მისთვის ცნობილია, 46-მა პროცენტმა პრემიერის გეგმა არ იცის; 6 პროცენტს კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს.

მერაბიშვილის გეგმიდან მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი 1000-ლარიანი ვაუჩერია (26 პროცენტით). გამოკითხულთა 20 პროცენტი სამუშაო ადგილებს ასახელებს; 19 პროცენტი სოფლის მეურნეობას.

NDI ასევე დაინტერესდა ბიძინა ივანიშვილის გეგმის შესახებ, მოსახლეობა არის თუ არა ინფორმირებული. რესპონდენტებს ჰკითხეს - "27 მაისს სიტყვით გამოსვლისას კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა თქვა: "ჩემი პირველი განცხადებიდან 7 თვე გავიდა და გარწმუნებთ, ყველაფერი ისე ვითარდება, როგორც ვგეგმავდი და გააზრებული მქონდა. ივანიშვილის გეგმის შესახებ იცით თუ არა?"

22 პროცენტი პასუხობს - დიახ; 66 პროცენტი - არა; 10 პროცენტი - არ ვიცი. ივნისში ჩატარებულ კვლევასთან შედარებით, 5 პროცენტით არის მომატებული იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც დადებითი პასუხი გასცეს. როგორც NDI-ს საქართველოს ოფისის დირექტორი ლუის ნავარო ამბობს, ივანიშვილის გეგმის შესახებ ინფორმაცია უფრო მეტად თბილისში აქვთ, ვიდრე სხვა ქალაქებსა და სოფლებში.

მათგან კი, ვისთვისაც ივანიშვილის გეგმა ცნობილია, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი სამუშაო ადგილების შექმნაა. იმ ადამიანთა 82 პროცენტი, რომლებიც გეგმის შესახებ ინფორმაციას ფლობენ, მას მხარს უჭერს.

ბიძინა ივანიშვილი კვლევის შედეგების დეტალურ ანალიზს მისი გაცნობის შემდეგ აპირებს, თუმცა აღნიშნა, რომ დღეს საზოგადოებაში არ არის მზაობა იმისა, რომ პოლიტიკური პარტიები და ლიდერები ერთმანეთს პროგრამების შედარებით დაუპირისპიროს. მისი თქმით, სამწუხაროდ, საზოგადოება მხოლოდ პიროვნებების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას. **"რამდენად კორექტულია NDI-ს კვლევაში აღნიშნული პროცენტტული მაჩვენებელი, არ ვიცი, თუმცა 80 პროცენტსაც რომ ეთქვა, "ქართული ოცნების" პროგრამას არ ვიცნობო, არ გამიკვირდებოდა,"** - თქვა ბიძინა ივანიშვილმა.

ივანიშვილს კვლევაში კიდევ ერთი კითხვა ეხებოდა. კვლევის დროს რესპონდენტებს მიმართეს კითხვით: "ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ის ხალხს ქუჩის საპროტესტო აქციებისკენ მოუწოდებს. დაუჭერთ თუ არა მხარს ივანიშვილის ამ მოწოდებას?" გამოკითხულთა მხოლოდ 16 პროცენტი პასუხობს - დიახ, მაშინ, როდესაც ივნისში ჩატარებულ კვლევაში აქციებს 27 პროცენტი უჭერდა მხარს. NDI-ს მონაცემებით, 2012 წლის თებერვალში კი კითხვაზე დადებითი პასუხი 17-მა პროცენტმა გასცა.

NDI-ს საქართველოს ოფისის დირექტორმა ლუის ნავარომ "24 საათის" კითხვის შემდეგ განმარტა: **"კითხვა - რატომ? არ დაგვისვამს და ამიტომ რაიმე დასკვნის გაკეთება გაგვიჭირდება. ზოგადად, 2009 წლიდან მოყოლებული საქართველოს მოსახლეობას ბევრი საპროტესტო აქცია ახსოვს. ივნისში საპროტესტო აქციების გამართვის სურვილმა მოიმატა, თუმცა ვერ ავხსნით, კვლავ რატომ დაიკლო."**

საპროტესტო აქციებისგან განსხვავებით, არჩევნებზე წამსვლელთა რაოდენობა მატულობს. გამოკითხულთა 77 პროცენტი აცხადებს, რომ 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ხმის მიცემას აპირებს. ივნისში ჩატარებულ კვლევასთან შედარებით, არჩევნებზე წამსვლელთა რაოდენობის მაჩვენებელმა 2 პროცენტით მოიმატა. საპრეზიდენტო არჩევნებზე მისვლას, ასევე, მოსახლეობის 77 პროცენტი გეგმავს.

NDI პოლიტიკური პარტიების რეიტინგების გამოქვეყნებას 7 სექტემბერს აპირებს.

არჩევნების თარიღის შეცვლას კანონი ზურგს ვერ უმაგრებს

ნათია მსხილაძე

"არჩევნების თარიღი კანონით არის განსაზღვრული და ვერ შეიცვლება," - ასე უპასუხა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვას, რომელიც უცხოეთში მცხოვრები ქართველებისთვის ხმის მიცემას 29 ან 30 სექტემბრისთვის ითვალისწინებდა. **"საქართველოს საპარლამენტო არჩევნები როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში 1 ოქტომბერს გაიმართება. არჩევნების თარიღს ნიშნავს პრეზიდენტი და ის განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით. აქედან გამომდინარე, არჩევნების თარიღის შეცვლა, უცხოეთში იქნება ეს თუ საქართველოში, ვერ მოხდება,"** - განაცხადა ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრესსპიკერმა ეკა აზარაშვილმა.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ხარატიშვილისადმი გაგზავნილ მიმართვაშია აღნიშნული, ზემოაღნიშნული ინიციატივა საქართველოს მოქალაქეების ფუნდამენტური საარჩევნო უფლების განხორციელების მიზნით წამოიჭრა. **"ჩვენ, ადამიანის უფლებათა დამცველები, მოგმართავთ თხოვნით, საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის ("გამონაკლის შემთხვევაში, თუ შეუძლებელი გახდა ამ კანონთ დადგენილი გარკვეული მოთხოვნის შესრულება/ვადების დაცვა, უფლებამოსილია დადგენილებით განსაზღვროს ჩასატარებელი არჩევნების/გასამართი კენჭისყრის საარჩევნო ღონისძიებები და ვადები") საფუძველზე, გამოავლინოთ კეთილი ნება და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება, უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ფუნდამენტური საარჩევნო უფლების განხორციელების მიზნით და მისცეთ შესაძლებლობა, რათა მათ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღონ არა ორშაბათს, 1 ოქტომბერს, არამედ 29 ან 30 სექტემბერს - უქმე დღეს,"** - აღნიშნულია მიმართვაში.

არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს მწვანეთა მოძრაობის" ხელმძღვანელის ნინო ჩხობაძის განცხადებით, არჩევნების თარიღის შეცვლის პრეცედენტი უკვე არსებობს.

მისი განცხადებით, ცესკო-ს განკარგულებით, ავღანეთში მყოფი ქართველი ჯარისკაცებისთვის კენჭისყრა 1 ოქტომბერს არ გაიმართება. **"ჩვენ ვთხოვთ ცესკო-ს, იმოქმედონ იმავე რეჟიმში, რა რეჟიმიც გამოიყენეს სამხედროებთან დაკავშირებით, რომლებიც არიან ავღანეთში. ცესკო-ს აქვს საშუალება, პრეცედენტულად იმოქმედოს და, გამონაკლისის სახით, საელჩოებს სხვა თარიღი დაუსვას,"** - აღნიშნა ჩხობაძემ.

ავღანეთში მყოფი ჯარისკაცებისთვის არჩევნების თარიღი ცესკო-ს 4 აგვისტოს განკარგულებით შეიცვალა. აღნიშნული განკარგულების მიხედვით, ავღანეთში კენჭისყრა 23 სექტემბერს გაიმართება. თარიღი შეიძლება შეიცვალოს ფორსმაჟორული გარემოებების გამო, თუმცა კენჭისყრა არაუგვიანეს 26 სექტემბერამდე უნდა გაიმართოს.

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" მიიჩნევს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილის მოთხოვნას უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის არჩევნების თარიღის შეცვლასთან დაკავშირებით, კანონი ზურგს არ უმაგრებს. **"კანონით ასეა, არაუგვიანეს 60 დღისა, პრეზიდენტი ნიშნავს არჩევნებს და სხვა გამოსავლის ძებნა, როდესაც ყველაფერი გადაწყვეტილია, შეუძლებლად მიმაჩნია. გონივრული მოთხოვნის დაყენება, რომ არჩევნები არ დანიშნულიყო სამუშაო დღეს, არჩევნების თარიღის გამოცხადებამდე იქნებოდა უმჯობესი. ამ მოთხოვნას კანონი არ უმაგრებს ზურგს. გარდა ამისა, თარიღის შეცვლის გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს ცესკო, რადგან არჩევნების დღეს არა ცესკო, არამედ პრეზიდენტი ნიშნავს. სამართლებრივად ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა მოგვარდეს არასამთავრობოთა ნაწილის მოთხოვნა,"** - განმარტა "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელმა ლელა ტალიურმა.

არჩევნების თარიღის შეცვლასთან დაკავშირებით განცხადებები გაკეთდა საქართველოს საგარეო უწყებაშიც. **"უკვე რაიმეს გაკეთება შეუძლებელია, გადაწყვეტილება მიღებულია და ამაზე კომენტარი საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაში არ შედის. სამინისტრო ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ უცხოეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის დროს პრობლემები არ შეექმნათ,"** - განაცხადა სერგი კაპანაძემ.

ძალაში რჩება აუცილებელი პირობა - არჩევნებში მონაწილეობისთვის უცხოეთში მცხოვრები მოქალაქეები უნდა იყვნენ საკონსულო აღრიცხვაზე. **"საგარეო საქმეთა სამინისტროს სურს, ძალიან ცალსახად განაცხადოს - ეს გადაწყვეტილება, რომელიც იქნა მიღებული დამატებითი დოკუმენტაციების წარდგენასთან დაკავშირებით, გაკეთდა მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ თავიდან აერიდებინათ სხვადასხვა ადამიანების დუბლირება და რომ ისინი არ ყოფილიყვნენ 2 განსხვავებული ქვეყნის საკონსულო აღრიცხვაზე. თუ ნახავთ ჩანაწერს, რა წერია იქ, მიხვდებით: ასეთი ტიპის დოკუმენტი სწორედ იმისთვის არის საჭირო, რომ გავარკვიოთ, ეს ადამიანი მართლა იმ ქვეყანაში იმყოფება თუ არა,"** - განაცხადა სერგი კაპანაძემ.

მოსკოვის ოპოზიციამ "მილიონების მარშზე" ახალი განაცხადი შეიტანა

მესამე "მილიონების მარშის" ორგანიზატორებმა, რომლებმაც ცოტა ხნის წინ მოსკოვის მერიისაგან უარი მიიღეს, 15 სექტემბრის მსვლელობაზე კიდევ ერთი განაცხადი შეიტანეს. როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, ახალ განაცხადში იგივე მარშრუტია მითითებული, რაც წინა განაცხადში. განცხადების ერთ-ერთი შემტანი, მოძრაობა "სოლიდარობის" აქტივისტი სერგეი დავიდისი მისმა კოლეგამ დენის ბილუნოვმა შეცვალა. "განმცხადებელი, დავიდისის ნაცვლად, ბილუნოვი გახდა," - განუცხადა "იტარ-ტასს" მსვლელობის კიდევ ერთმა ორგანიზატორმა პიოტრ ცარკოვმა.

მერიის განცხადებით, წინა განაცხადი იმის გამო არ განიხილეს, რომ დემონსტრაციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა სერგეი დავიდისმა "ადრე მსგავსი ღონისძიების გამართვისას წესები დაარღვია."

როგორც "ტვიტერის" საკუთარ გვერდზე "მემარცხენე ფრონტის" ლიდერმა სერგეი უდალცოვმა განმარტა, ხელისუფლება ირწმუნება, რომ მიმდინარე წელს დავიდისს ადმინისტრაციული დარღვევა ორჯერ დაუფიქსირეს. ამის გამო, მიტინგების შესახებ კანონის ახალი შესწორების თანახმად, ის მასობრივი ღონისძიების განმცხადებელი ვერ გახდება.

ავღანეთში აფეთქებას 30 ადამიანი ემსხვერპლა

გუშინ აღმოსავლეთ ავღანეთში თვითმკვლელის მიერ განხორციელებულ აფეთქებას 30 ადამიანი ემსხვერპლა; დაჭრილია დაახლოებით 50 კაცი. აღნიშნულის შესახებ ნანგარჰარის პროვინციის პოლიციის უფროსმა განაცხადა. აბდულა სტანიკაზაის თქმით, აფეთქება პაკისტანის საზღვართან ახლოს დასაფლავების ცერემონიის დროს მოხდა. აფეთქებაზე პასუხისმგებლობა ჯერ არავის აუღია, თუმცა, როგორც აღნიშნავენ, მსგავს თავდასხმებს ქვეყანაში "თალიბანი" ახორციელებს.

"იაპონია სადავო კუნძულებს ყიდულობს"

იაპონიის მედიასაშუალებების ცნობით, იაპონიამ აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში მდებარე კუნძულების შესყიდვის შესახებ კერძო მფლობელებთან შეთანხმება მოახერხა. აღნიშნული კუნძულები იაპონიასა და ჩინეთს შორის დავის საგანს წარმოადგენს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მთავრობა სენკაკუს კუნძულებში 26 მილიონ დოლარს გადაიხდის.

იაპონიის ხელისუფლებას ამ დროისათვის ეს ინფორმაცია არ დაუდასტურებია. იაპონიის მინისტრთა კაბინეტის მდივანის ოსამა ფუძიმურის განცხადებით, მთავრობა და კუნძულის მფლობელები მოლაპარაკებებს აწარმოებენ, თუმცა მას დეტალებზე არ უსაუბრია.

ჩინეთის დიპლომატიურმა უწყებამ, თავის მხრივ, განაცხადა, რომ პეკინი ყურადღებით აკვირდება მოვლენების განვითარებას და "საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად ყველა ღონეს მიმართავს."

სირიასთან საკითხში ამერიკის პასიურობას ერდოღანი არჩევნებს აბრალებს

თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯეპ ტაიპ ერდოღანის თქმით, სირიასთან დაკავშირებით ამერიკის მხრიდან ინიციატივების ნაკლებობის მიზეზი, შესაძლოა, მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნებია. "სი-ენ-ენისათვის" მიცემულ ინტერვიუში ერდოღანმა, სირიის 18-თვიანი კრიზისის გარდა, ირანის ბირთვულ პროგრამაზეც ისაუბრა.

"შესაძლოა, ეს არჩევნების გამო ხდება. მიზეზების შესახებ ჩვენთან არავის უსაუბრია და ისინი არც არიან ვალდებულნი, ეს გააკეთონ. ჩვენ ძალიან მადლობლები ვართ იმით, რომ ამერიკა რეჟიმის წინააღმდეგია," - აღნიშნა ერდოღანმა დასმულ შეკითხვაზე - უკვირს თუ არა მას, რომ ამერიკა სირიის ოპოზიციას მნიშვნელოვანს არაფერს სთავაზობს.

ერდოღანმა ცოტა ხნის წინ გაერო-ს უშიშროების საბჭოს მოუწოდა, თურქეთ-სირიის საზღვარი და მისი მიმდებარე ტერიტორია არასაფრენ ზონად გამოეცხადებინათ. ამ დროისათვის თურქეთის ტერიტორიას თავს 80 000 სირიელი ლტოლვილი აფარებს.

ირანის ბირთვულ პროგრამაზე დასმულ შეკითხვაზე ერდოღანმა ასე უპასუხა: მას არ სჯერა, რომ ისრალი ირანზე მსხვილმასშტაბიან დარტყმას განახორციელებს.

ინაუგურაციის შემდეგ პუტინმა პირველი ინტერვიუ მისცა

ინაუგურაციის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა პირველი ინტერვიუ Russia Today-ს მისცა. ტელეარხი ექსკლუზიურ ინტერვიუს დღეს, 6 სექტემბერს მოსკოვის დროით 08:00 საათზე უჩვენებს. როგორც საიტის ვებგვერდზეა მითითებული, პუტინმა Pussy Riot-ისა და მიტ რომნის ანტირუსული განცხადებების შესახებაც ისაუბრა. ინტერვიუში პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ რუსეთი მზადაა, ითანამშრომლოს ამერიკის ნებისმიერ პრეზიდენტთან, რომელსაც ამერიკელი ხალხი აირჩევს.

მოამზადა თამთა კახაძემ

მიშელ ობამას ემოციური გამოსვლა დემოკრატების ყრილობაზე

პირველი გვერდიდან



მიშელ ობამას თქმით, მაღალმა თანამდებობამ ობამა არ შეცვალა, პირიქით, მან ხასიათის საუკეთესო თვისებები გამოავლინა. "ბარაკმა კარგად იცის, რა არის ამერიკული ოცნება და სურს, რომ მის ქვეყანაში ყველას ჰქონდეს მსგავსი შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, ვინ ვართ ჩვენ, როგორ გამოვიყურებით და ვინ გვიყვარს," - მიმართა მიშელ ობამამ ამომრჩეველს. მან ვრცლად და ემოციურად ილაპარაკა ქმრის დადებით თვისებებზე, მის უნარზე, გადალახოს პრობლემები და ოჯახურ ურთიერთობებზეც. მისი სიტყვებით, "ბარაკ ობამა იმავე ადამიანად რჩება, რომელიც მას წლების წინ შეუყვარდა".

მიშელ ობამა შეეხო "პროგრამულ" და "მსოფლმხედველობრივ" საკითხებსაც. ქმრის წარმატების მაგალითად მოიყვანა უკვე დამტკიცებული ჯანდაცვის რეფორმა. მიშელის სიტყვებით, ბარაკ ობამა მიიჩნევს, რომ "ქალებმა თვითონ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება საკუთარი სხეულისა და ჯანმრთელობის თაობაზე". ამით მან მინიშნება გააკეთა აბორტების აკრძალვის საკითხზე, რომელსაც რესპუბლიკელები მოითხოვენ.

ყრილობის პირველ სხდომაზე, სპორტული კომპლექსის "Time Warner Cable Arena" სცენაზე სიტყვით გამოვიდნენ გუბერნატორები, ქალაქების მერები, კონგრესმენები, პროფესიული და საზოგადოებრივი გაერთიანებების ხელმძღვანელები, აგრეთვე, ობამების ოჯახის მეგობრები და ნათესავები, მათ შორის, ბარაკ ობამას უმცროსი და მაია სოეტორო (ის მასწავლებელია ჰავაის შტატში) და მიშელ ობამას უფროსი ძმა კრეიგ რობინსონი (შტატ ორეგონის უნივერსიტეტის კალათბურთის გუნდის მწვრთნელი). იგეგმება ბევრი აფრო-ამერიკელისა და "ლათინურამერიკული" წარმოშობის დელეგატის გამოსვლაც, რითიც დემოკტარები ხაზს უსვამენ საკუთარ ტოლერანტულობასა და რასობრივ სიჭრელეს.

წელს დემოკრატების პროგრამაში რიგი ცვლილებები შევიდა, რაც საგარეო პოლიტიკას ეხება. მაგალითად, იქ ისრაელის დედაქალაქად აღარ არის მოხსენიებული იერუსალიმი. მართალია, ლაპარაკია "ისრაელის უსაფრთხოების დაცვაზე", მაგრამ რესპუბლიკელებს მაინც მიეცათ საბაბი (არა მხოლოდ ამის გამო), დემოკრატები "საკვანძო მოკავშირის ღალატში" დაედანაშაულებინათ. ეკონომიკისა და პოლიტიკის საკითხებზე ძირითადი განცხადებები მაინც ყრილობის მეორე და მესამე დღეს გაკეთდება, რასაც "24 საათი" კიდევ შეეხება.

დემოკრატების ყრილობამ უკვე დაამყარა რეკორდი ჰომოსექსუალისტებისა და მუსულმანების დასწრების თვალსაზრისით. ყრილობას ესწრება დაახლოებით 6 ათასი დელეგატი 50 შტატიდან, ფედერალურ ოკრუგ კოლუმბიიდან და ხუთი ამერიკული ტერიტორიიდან. დელეგატთა დაახლოებით 8 პროცენტი - 486 ადამიანი არის გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსსექსუალი. მათ შორის არის სამი ჰომოსექსუალი კონგრესმენი, რომლებიც სიტყვითაც გამოვლენ. ფორუმს ესწრება ასზე მეტი მუსულმანი, რომლებიც 20 სხვადასხვა შტატს წარმოადგენენ. 2008 წელს ყრილობაზე 43 მუსულმანი იყო, ხოლო 2004 წელს - მხოლოდ 25.

ოთხშაბათს (ჩვენი დროით უკვე ხუთშაბათს ღამით) დემოკრატების ყრილობა ოფიციალურად დაასახელებს ბარაკ ობამას - პრეზიდენტობის და ჯოზეფ ბაიდენს ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატებად მეორე ვადით. ორივენი სიტყვით გამოვლენ უკვე მომდევნო დღეს, ხუთშაბათს, მადლობას გადაუხდიან პარტიას დასახელებისთვის და თანხმობას განაცხადებენ კენჭისყრაზე. ფორმალურად მხოლოდ ამის შემდეგ მიიჩნევიან კანდიდატები დასახელებულად და ყრილობაც ამით დასრულდება.

ბოლო დღისთვის დემოკრატებს შეკვეთილი აქვთ სტადიონი 74 ათასი ადგილით და მის გავსებას შეეცდებიან. ამინდის პროგნოზი მათთვის მაინცდამაინც სახარბიელო არ არის - მოსალოდნელია ჭექა-ქუხილი და წვიმა, თუმცა რესპუბლიკელებთან შედარებით მათ მაინც ხმა არ ამოეღებათ. ფლორიდაში წინა კვირაში, საერთოდ, გრიგალი "ისააკი" მძვინვარებდა და ამის გამო ყრილობა ერთი დღით გადაიდო კიდეც.

რესპუბლიკელებს ყრილობა მაინცდამაინც არ მიეხმარა რეიტინგის გაზრდაში, რაც ტრადიციულად ხდება ხოლმე. რომნიმ ობამას ცოტა ხნით და სულ ერთი პროცენტით გაასწრო და გუშინ ისევ ობამა იყო წინ, ასევე ერთი პროცენტით. ვნახოთ, რას იზამს დემოკრატების ყრილობა. შემდეგ კი ბევრი რამე ტელედებატებზე იქნება დამოკიდებული. ისევ ვიმეორებთ, რომ წელს კანდიდატებს შორის გამოკვეთილი ლიდერი არ არის და ვერც ერთი სერიოზული ექსპერტი 6 ნოემბრის არჩევნების შედეგების პროგნოზირებას ვერ ბედავს.

კადიროვი ინგუშეთს ტერიტორიულ პრეტენზიას უყენებს

პირველი გვერდიდან

"ინგუშეთის რესპუბლიკას ასეთი დოკუმენტები არ აქვს, არასდროს არ ჰქონია და არც შეიძლება ჰქონდეს. ინგუშეთის რეგიონი მხოლოდ 1934 წელს შემოგვიერთეს," - განაცხადა მან. ამასთან ერთად საუბარში ჩეჩნეთის ლიდერმა გააკრიტიკა ინგუშეთის პრეზიდენტი იუნუს ბეკ-ევკუროვი. ეს განცხადება იყო გაგრძელება იმ დისკუსიისა, რომელიც კადიროვმა აგვისტოს ბოლოს წამოიწყო ფედერალურ დონეზე. საქმე ეხება ზუსტი ადმინისტრაციული საზღვრის დადგენას ორ ავტონომიურ რესპუბლიკას - ჩეჩნეთსა და ინგუშეთს შორის.

კადიროვის განცხადებით, იმის გამო, რომ რესპუბლიკებს შორის ზუსტი ადმინისტრაციული საზღვარი გავლებული არ არის, ფედერაციის სუბიექტების მხრიდან ხდება "მიწების მითვისება" და იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც თავად მას სადავო ტერიტორიებად მიაჩნია, მიმდინარეობს ინგუშების დასახლება.

ევკუროვი დაეთანხმა მას, რომ საჭიროა საზღვრების დემარკაცია, თუმცა უარყოფითად შეაფასა კადიროვის სიტყვები, რომელის თანახმადაც, ინგუშეთის ზოგიერთი სასაზღვრო რაიონი ჩეჩნეთს ეკუთვნის. სამშაბათს კადიროვმა კონკრეტულად დაასახელა ის რაიონები, რომლებიც, მისი აზრით, მათ ეკუთვნის.

4 სექტემბერს გამართული ჩეჩნეთის მინისტრთა კაბინეტის შეხვედრის ანგარიში, რომელიც რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა, იმით იწყება, რომ უნდა მოხდეს რესპუბლიკის მიწების ერთი კატეგორიიდან მეორეში გადაყვანა, მაგრამ ტექსტის პირველი მესამედის შემდეგ ანგარიში საკმაოდ ემოციური ხდება და დოკუმენტი ოფიციალურ სახეს კარგავს. "ჩვენ ჩვენი ტერიტორია ვიცით და არავითარ შემთხვევაში არ დავტოვებთ მათ ადმინისტრაციული საზღვრების გარეთ," - დოკუმენტის თანახმად განაცხადა კადიროვმა. ამასთან ერთად მან ისიც აღნიშნა, რომ ჩეჩნეთი სხვის ტერიტორიას არ მიითვისებს.

"ჩეჩნეთის სახელმწიფო მეურნეობა "გორაგორკის" ტერიტორიაზე ინგუშეთის მხარემ გაავლო საზღვარი, რომლის შემდეგაც მათ დამატებით მიითვისეს ჩვენი ტერიტორიის ხუთი ათასი ჰექტარი. ეს, სულ მცირე, ამაზრზენია! ჩვენ ხომ მეზობლები და ძმები ვართ. ასე იქცევიან მეზობლები?" - ნათქვამია გროზნოში გამართული სხდომის ანგარიშში.

კადიროვმა ინგუშეთის პრეზიდენტი ევკუროვი დაადანაშაულა უცნაური განცხადებების გაკეთებასა და ორ მოძმე ერს შორის უთანხმოების ჩამოაგდების მცდელობაში. "დღეს ევკუროვი აკეთებს უცნაურ განცხადებებს. ის აცხადებს, რომ "რამზან კადიროვი ამცირებს ინგუშ ხალხს". მე არათუ არასდროს დავამცირებ ინგუშ ხალხს, არამედ არავის მივცემ ამის გაკეთების უფლებას. მე მივიჩნევ, რომ ზუსტად ისეთი ადამიანები, როგორიც არის ევკუროვი, ცდილობენ, დაანგრიონ ურთიერთობა ორ მოძმე ერს შორის," - განაცხადა ჩეჩნეთის ლიდერმა.

ინგუშეთისა და ჩეჩნეთის წარმომადგენლები საზღვრის განსაზღვრის საკითხის შესახებ დებატების დროს მუდმივად აღნიშნავენ, რომ ისინი მოძმე რესპუბლიკები არიან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ორივე მხარე მუდამ მკაცრ პირობებს აყენებს. "აუცილებელია, კატეგორიულად გამოვრიცხოთ ამ პრობლემის ირგვლივ ყველა ბრალდება," - განაცხადა ინგუშეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა, "ედინაია როსიას" წევრმა ბელან ხამჩიევმა. მისი განცხადებით, ყველამ ისედაც კარგად იცის, ვინ სად და როდის ცხოვრობდა.

თავად ინგუშეთის ლიდერს ჩეჩენი კოლეგის ახალ განცხადებაზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

კადიროვის განცხადებით ტერიტორიული საკითხი არ დააბრკოლებს ურთიერთობას ერებს შორის, მაშინ, როდესაც ევკუროვმა ცოტა ხნით ადრე უკვე განაცხადა, რომ საზღვრების გადაწევის ნებისმიერი მცდელობა კონფლიქტს გამოიწვევს. ორივე რესპუბლიკაში შექმნილია კომისიები, რომელბმაც უნდა უზრუნველყონ ადმინისტრაციული საზღვრების დადგენა.

ჩეჩნები და ინგუშები ერთი დიდი ერის - ვაინახების ორ შტოს წარმოადგენენ. საბჭოთა კავშირის არსებობის დროსაც ისინი ერთ რესპუბლიკაში ცხოვრობდნენ, რომელსაც ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ერქვა. ცხადია, მაშინ ადმინისტრაციული საზღვარიც არ არსებობდა. ისინი ორ რესპუბლიკად - ჩეჩნეთად და ინგუშეთად 1992 წლის დეკემბერში გაყვეს და "რსფსრს" კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანეს. ადმინისტრაციულ საზღვარი მკაფიოდ არავის გაუვლია. დღეს ამ საკითხის გადაწყვეტის მცდელობისას, შეიძლება, ხალხებმა შუა საუკუნეების დროინდელი საზღვრების დადგენა მოითხოვონ, ეს საზღვრები კი, ალბათ, სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად იყო გავლებული. შესაბამისად, ტერიტორიულმა დავამ ეს ხალხები მართლა შეიძლება კონფლიქტამდე მიიყვანოს.

გოეთეს ინსტიტუტი - სრულყოფილების მისაღწევად

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ფია ფელემ ქართული ენა სამი წლის წინ ისწავლა გრემში, როდესაც ის ბავშვთა სახლში პედაგოგად მუშაობდა, სიბილა ჰაინცე კი იენის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია.

როგორც სახელოსნოს გერმანელი ხელმძღვანელი როზემარი ტიეცე აღნიშნავს, გერმანული ენიდან ქართულ ენაზე თარგმნას მრავალწლიანი ტრადიცია აქვს, რაც შეეხება ქართულიდან გერმანულ ენაზე ტექსტის თარგმნას, ამ პროცესს საფუძველი ახლა ეყრება და, შესაბამისად, თითქმის ანბანიდან გვიწევს სწავლა.

როზემარი ტიეცე: "თარგმნა ძალიან მგრძნობიარე პროცესია და მხოლოდ ენის ცოდნა საკმარისი არ არის. ტექსტის სრულყოფილად გაგების გარდა, მთარგმნელს სტილის გრძნობაც მართებს. ერთი მხრივ, ქართული ტექსტი ისე უნდა იკითხებოდეს გემანულ ენაზე, რომ ამ ენისთვის მშობლიურად ჟღერდეს, მაგრამ არც მთლად გერმანულენოვან ტექსტად არ უნდა ვაქციოთ. სრულად არ უნდა წავართვათ მკითხველს იმის შეგრძნება, რომ იგი უცხოენოვან ტექსტს კითხულობს. რასაც მე ვაკვირდები, მთარგმნელებისათვის განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს ზმნური კონსტრუქციებისა და მიმღეობების თარგმნა და წინადადების აგება".

სახელოსნოს მუშაობის მთავარ ნაწილს შეადგენს მსჯელობა ლიტერატურული ტექსტების იმ თარგმანების შესახებ, რომლებიც სახელოსნოს მონაწილეებმა წინასწარ გაგზავნეს. სახელოსნოს ხელმძღვანელობენ მთარგმნელები: როზემარი ტიეცე, ნათია მიქელაძე-ბახსოლიანი და პროფესორი ალექსანდრე კარტოზია.

როგორც პროექტის ხელმძღვანელმა ბარბარა ვატენდორფმა აღნიშნა, ორენოვანი მთარგმნელობითი სახელოსნო მიზნად ისახავს ლიტერატურული მთარგმნელობითი საქმიანობის განვითარებას და პროფესიული ქსელის შექმნას, რომელშიც გაერთიანებულები იქნებიან მთარგმნელები, ავტორები, გამომცემლები და ამ სფეროს ხელშემწყობი ორგანიზაციები. სახელოსნოს მუშაობა მოიცავს, აგრეთვე, ლიტერატურის მთარგმნელებისათვის საინტერესო პროფესიულ საკითხებს და მათი ხელშემწყობი პროგრამების შესახებ ინფორმაციას. მთარგმნელობითი სახელოსნო ტარდება Vice-Versa პროგრამის საშუალებით, რომელიც შეიმუშავა გერმანიის მთარგმნელთა ფონდმა რობერტ ბოშის ფონდსა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით. წელს სახელოსნოს ფუნქციონირებას ფინანსურად ხელს უწყობს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

ალექსანდრე კარტოზია

წლევანდელ სემინარზე სამუშაო ტექსტები გოეთეს ორგანიზატორებმა შეარჩიეს. ეს სტილისტურად სხვადასხვაგვარი თხზულებებია. სემინარის მონაწილეებს - ანასტასია ყამარაულს, სიბილა ჰაინცესა და ფია ფელეს მუშაობა უწევთ ზურაბ ლეჟავას, ანა კორძაია-სამადაშვილის, გელა ჩქვანავას და აკა მორჩილაძის ტექსტებზე. სიბილა ჰაინცეს სურვილი აქვს, რომ ანა კორძაია-სამადაშვილის "შუშანიკის შვილები" სრულად თარგმნოს, თუმცა კი, როგორც როზემარი ტიეცე აღნიშნავს, ის ამონარიდებიც კი, რაც ამ სახელოსნოში დამუშავდება, მთარგმნელებს საშუალებას მისცემს, გააკეთონ განაცხადი გერმანულ გამომცემლობებთან. რაც შეეხება გამომცემლობებთან ურთიერთობას, ვორკშოპს კვლავაც ესწრება შვეიცარიელი წიგნის აგენტი რახელ გრატცფელდი, რომელმაც გერმანულენოვან ბაზარს უკვე მიაწოდა აკა მორჩილაძე, ზაზა ბურჭულაძე და თამთა მელაშვილი. და ბარემ აქვე აღვნიშნავ, რომ გამოცხადდა დამოუკიდებელი გამომცემლობების ყოველწლიური პრემიის შორთლისტი, სადაც თამთა მელაშვილის "გათვლა" ათეულში მეორე ადგილზეა.

გასული წლის გამოცდილებითა და შედეგების მიხედვით, ალექსანდრე კარტოზია ორენოვანი სახელოსნოს გასული წლის მუშაობას წარმატებულად აფასებს და გამორჩეულად გამოყოფს რამდენიმე ნიშანს: "მოხდა მთარგმნელების ერთმანეთთან დაკავშირება და გამოცდილების გაზარება, რის საშუალებაც კოლეგებს ნაკლებად აქვთ ხოლმე და მეორე, ეს იყო წმინდა ლაბორატორიული სამუშაო ტექსტებზე, რომელიც მოიცავდა რამდენიმე ასპექტს: სათარგმნი ტექსტის მთელი სისავსით გაგება, რაშიც სემინარის მონაწილეები ერთმანეთს ეხმარებოდნენ, ტექსტის ინტერპრეტაცია და ინტერპრეტირებული ტექსტის ქართულ ენაზე თარგმნის ხერხების დაუფლება. აქ სემინარის ყველა მონაწილე, ნებსით თუ უნებლიედ, ერთმანეთს უზიარებდა გამოცდილებას და ამდიდრებდა, რაშიც, ბუნებრივია, ხელმძღვანელიც ეხმარებოდა. შედეგად ის მივიღეთ, რომ რამდენიმე ავტორმა წელს თითქმის უკვე დაასრულა იმ ნაწარმოებებზე მუშაობა, რაც მათ ჰქონდათ შერჩეული. განსხვავება წელს ისაა, რომ, თუ გასულ წელს კაფკას, ბროხის, გიუნტერ გრასის, ქატრინ შმიდტისა და მაქს ფრიშის ტექსტებზე მუშაობდნენ, წელს სათარგმნად ახალგაზრდა ავტორები, თითქმის დებიუტანტები შევთავაზეთ. ესენია ოლგა გრიაზანოვას, ბენიამინ შტაინის, მიხაილ კუმპფმიულერისა და დავიდ გაგნერის ნაწარმოებები. მთარგმნელი უნდა მიეჩვიოს იმასაც, რომ ყოველთვის არაა ფუფუნება, საყვარელ ავტორზე იმუშაოს, მას უმეტესად გამომცემლობის ინტერესის გათვალისწინება უწევს," - ამბობს ალექსანდრე კარტოზია, რომელიც, თავად არაერთი წიგნის მთარგმნელი, ახალგაზრდა კოლეგებს კიდევ ერთი დეტალის გათვალისწინებას ურჩევს: "გერმანული ენიდან ქართულზე თარგმნის ტრადიცია რომ არსებობს, ერთი მხრივ, კარგია და ხელის შემწყობი, მაგრამ ეს, ამავდროულად, ხელის შემშლელადაც შეიძლება იქცეს, თუკი მთარგმნელი ამ ტრადიციას ბრმად მიჰყვება."

ტექსტის გაგებასთან ერთად, სახელოსნოს მონაწილეები ამუშავებენ პუნქტუაციის, ნაწილაკის, შორისდებულის თარგმნის საკითხებს. სახელოსნოს მუშაობას წელსაც ესწრება გამომცემლობა "დიოგენეს" რედაქტორი ანა ჭაბაშვილი, რომლიც სემინარზე წამოჭრილ-დამუშავებული საკითხების განხილვისას კიდევ ერთხელ დარწმუნდა იმაში, რომ თითქმის ყველა მთარგმნელს მართებს ამგვარი პრაქტიკის გავლა. მაგალითად, უნდა ითარგმნოს თუ არა გვარები და როდის მართებს მთარგმნელს ამის აქცენტირება? როგორ უნდა მოუსადაგო სიტყვები ჟარგონს? როგორ უნდა ითარგმნოს ფრაზეოლოგიზმები და ანდაზები? უნდა გაკეთდეს თუ არა კომენტარები და აიხსნას თუ არა სიტყვები? აღმოჩნდა, რომ კლასიკოსებთან თუ კომენტარების გაკეთება დასაშვებია, თანამედროვე ავტორების თარგმნისას ცუდ ტონად ითვლება და მკითხველი გაიგებს თუ ვერ გაიგებს, ეს მასზეა დამოკიდებული.

"ჩემთვის ეს ის სფეროა, რასაც ყოველდღიურად ვაკეთებ. არსებობს თარგმანის თეორია, რომელიც განსაზღვრავს, რა პრინციპებით უნდა მოხდეს ტექსტის თარგმნა. მე ეს თეორია არ მისწავლია, მაგრამ ამ დასკვნებამდე ემპირიული გზით მივედი. სახელოსნოს მსველობისას კი ერთ რამე აშკარა გახდა ჩემთვის: კარგი მთარგმნელი ამ პრინციპებს ყოველთვის მიჰყვება, თუმცა კი რჩევების მიღება და გამოცდილების გაზიარება ყველასათვის სასარგებლოა".

ლიტერატურული სახელოსნოს მუშაობის დასასრულს, 7 სექტემბერს, 19:00 საათზე, გოეთეს ინსტიტუტი ლიტერატურულ საღამოს გამართავს ავტორებისა და მთრგმნელების მონაწილეობით, რომელსაც პროფესორი ალექსანდრე კარტოზია წარუძღვება. ავტორები ანა კორძაია-სამადაშვილი და გელა ჩქვანავა წაიკითხავენ ნაწყვეტებს საკუთარი ნაწარმოებებიდან. დამსწრე საზოგადოებას მათ გერმანულ ვერსიებსაც წარუდგენენ.

ᲐᲤᲘᲨᲐ

6 სექტემბერი

კინო

"შეუჩერებელნი 2". რეჟისორი: საიმონ უესტი
როლებში: სილვესტერ სტალონე, ლიამ ჰემსვორტი, ჯეისონ სტეტჰემი, ჯეტ ლი, ჟან-კლოდ ვან დამი, ბრუს უილისი, არნოლდ შვარცნეგერი, ჩაკ ნორისი
ჟანრი: მძაფრსიუჟეტიანი სათავგადასავლო
ხანგრძლივობა: 102 წთ. გახმოვანება: რუსული
რუსთაველი - 13.30; 15.45; 18.00; 20.15; 22.30
ამირანი - 13.3; 15.30; 17.45; 20.00; 22.30

"პირანია". რეჟისორი: ჯონ გულაჟერი
როლებში: დანიელ პანაბეიკერი, მეთ ბუში, დევიდ კოკრენი, კატრინა ბოუდენი
ჟანრი: კომედია საშინელება
ხანგრძლივობა: 83 წთ. გახმოვანება: რუსული
რუსთაველი - 13.45; 20.45; 22.30
ამირანი - 16.00; 22.30

"უბნის მაყურებლები". რეჟისორი: აკივა შაფერი.
როლებში: ბენ სტილერი, ვინს ვონი, ჯონა ჰილი
ჟანრი: კომედია
ხანგრძლივობა: 102 წთ. გახმოვანება: რუსული
რუსთაველი - 16.00; 18.45; 22.30;
ამირანი - 14.00;

"ტედი". რეჟისორი: სეთ მაკფარლეინი
როლებში: მარკ უოლბერგი, მილა კუნისი, სეთ მაკფარლეინი, ჯოელ მაკჰეილი, ჯოვანი რიბიზი, პატრიკ ბარბერტონი. ჟანრი: კომედია, ფანტასტიკა
ხანგრძლივობა: 106 წთ
რუსთაველი - 13.45; 18.00; 20.15;
ამირანი - 18.00;

"ბეთმენი: შავი რაინდის აღზევება"
რეჟისორი: კრისტოფერ ნოლანი
როლებში: კრისტიან ბეილი, ტომ ჰარდი, ლიამ ნისონი, მორგან ფრიმანი. ჟანრი: მძაფრსიუჟეტიანი დრამა. ხანგრძლივობა: 165 წთ. გახმოვანება: რუსული. **რუსთაველი** - 15.30

"რომის არდადეგები". რეჟისორი: ვუდი ალენი
როლებში: ვუდი ალენი, პენელოპა კრუსი, ჯესი აიზენერგი, ალეკ ბოლდუინი, რობერტო ბენინი, ფლავიო პარენტი, ჯუდი დევისი. გახმოვანება: რუსული. **ამირანი** - 20.15; 2

გალერეა

ეროვნული გალერეა. "პეტრე ოცხელი - რეტროსპექტივა". გამოფენა ეძღვნება პეტრე ოცხელის დაბადებიდან 105 წლის იუბილეს. ალექსანდრე ბანძელაძე - საზღვრებს მიღმა.

ახალი გალერეა. თანამედროვე ქართველი მხატვრები რუსთაველი. "არმაზი, მზესუმზირა, ზუმფიზარი და კაბა"

ვარლამ ლიპარტელიანი
ძიუდო

BP - საქართველოს მხარდასაჭერად

ჩვენ გვეამაყება, რომ ხელს ვუწყობთ საქართველოს სპორტსმენების წარმატებას 2012 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში.
BP. ჩვენი წვლილი ქვეყნის წარმატებაში

bp

ოფიციალური პარტნიორი

საფეხბურთო კლუბები მომჭირნედ ცხოვრებას სწავლობენ

ეგრეთ წოდებული ფინანსური ფეარ ფლეის პრინციპი, რომლის კონცეფცია უეფამ სამი წლის წინ შეიმუშავა, ძალაში შედის და პირველი შედეგებიც მივიღეთ. კლუბები გაცილებით ნაკლებს ხარჯავენ სატრანსფერო პერიოდში ახალი ფეხბურთელების შეძენაზე. მაგალითისთვის "მანჩესტერ სიტიც" კმარა, რომელმაც ახლახან დასრულებულ სატრანსფერო პერიოდში ერთი ხმაურიანი და ძვირად ღირებული ტრანსფერიც კი არ განახორციელა.

მიშელ პლატინი

კლუბებს ეშინიათ და ჯარიმებს იხდიან

ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ საფეხბურთო სამყაროს კიდევ ერთხელ ერთმნიშვნელოვნად მიანიშნა, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაცია ფინანსური ფეარ ფლეის პრინციპებს არ უღალატებს და დასჯის ყველა იმ კლუბს, რომელიც ზედმეტად ბევრ ფულს ხარჯავს. დამნაშავეებს კი სერიოზული სასჯელი ელით - სოლიდური ფულადი ჯარიმით დაწყებული, უეფას ტურნირებიდან მოკვეთით დამთავრებული. ამიტომაა, რომ კლუბების ხელმძღვანელები უკვე დაფიქრდნენ ფინანსური საკითხების მოგვარებაზე, რათა სრულ მზადყოფნაში შეხვდნენ 2013-14 წლების სეზონს, როდესაც უეფა მკაცრად დაიწყებს კლუბების ფინანსების შემოწმებას.

ასეთი ინსპექტირებისთვის უეფამ შექმნა სპეციალური უწყება - კლუბების ფინანსური კონტროლის ინსტანცია. უწყებაში შედის საგამოძიებო პალატა, რომელიც გამოძიებით არის დაკავებული და საარბიტრაჟო პალატა, რომელსაც გადაწყვეტილებების გამოტანა ევალება. ამ უწყების პირველ მსხვერპლად იქცნენ თურქული "ბეშიქთაში" და ესპანური "მალიორკა". ორივე გუნდი მოკვეთილია უეფას ეგიდით გასამართი ტურნირებიდან. მთლიანობაში კლუბების ფინანსური კონტროლის ინსტანციამ 237 კლუბი შეამოწმა. ორ მათგანზე უკვე ვთქვით, რომ მკაცრად დაისაჯა, ათს კი ფულადი ჯარიმის გადახდა მოუწევს.

"ეს ოთხი წელიწადი ახალი სისტემისთვის გამოსაცდელი ვადა იყო. სისტემის ჩამოყალიბების პერიოდი დასასრულს მიუახლოვდა და მორიგი ნაბიჯი უნდა გადავდგათ. 2012 წლის ინსპექციისთვის კლუბები უკვე კარგად მოემზადნენ, სახელფასო დავალიანებები 47 პროცენტით შემცირდა, უეფას რეკომენდაციით კლუბებმა ორ კვირაში 36 მილიონი ევრო გადაიხადეს. ეს უბრალო სიტყვები არ არის. ეს იმის ნიშანია, რომ კლუბებს ეშინიათ. მათ იციან წესები და იციან, თუ რა სანქციები ელით ამ წესების დარღვევის შემთხვევაში. ამიტომაც დავალიანებებს იხდიან", - სიამაყით აცხადებს უეფას გენერალური მდივანი ჯანი ინფანტინო.

მაქსიმალური დეფიციტი 30 მილიონი ევრო

უფრო სერიოზული შემოწმებები ფინანსურ ფეარ ფლეისთან დაკავშირებით ჩატარდება 2013 და 2014 წლებში, როდესაც ძალაში შევა ბიუჯეტში დეფიციტის ზღვარი. თავდაპირველად ორი სეზონის ჯამში (2011-12, 2012-13) ბიუჯეტის დეფიციტი 45 მილიონ ევროს არ უნდა აღემატებოდეს, 2015 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი 30 მილიონ ევრომდე შემცირდება. თანაც, საუბარი იქნება არა ორ, არამედ სამ სეზონზე (2012-13, 2013-14, 2014-15). შევეცდებით მარტივად ავხსნათ, რას ნიშნავს ეს. კლუბის დანახარჯები ფეხბურთელების ტრანსფერებსა და ფეხბურთელთა ხელფასებზე არ უნდა აღემატებოდეს კლუბის შემოსავლებს. თუმცა, სპონსორების ფულით დეფიციტის ნაწილის დაფარვა შესაძლებელი იქნება.

ჯერჯერობით ბოლომდე გაშიფრული არ არის, რა იგულისხმება სპონსორების ფინანსურ დახმარებაში. შეიძლება თუ არა სპონსორულ დახმარებად ჩაითვალოს კლუბის მდიდარი მეპატრონის მიერ გაღებული თანხა. თუმცა, 2013 წლამდე უეფა ამაშიც შეიტანს სიცხადეს.

აღსანიშნავია ერთი მეტად მნიშვნელოვანი დეტალი. კლუბებს დანახარჯებში არ ჩაეთვლებათ ის თანხა, რომელიც ამავე კლუბების საბავშვო სკოლებსა და საფეხბურთო აკადემიებზე დაიხარჯება. ხარჯებად პირველ რიგში ფეხბურთელთა ხელფასები და ახალი ფეხბურთელების შესაძენად დახარჯული ფული ჩაითვლება.

კლუბები უარს ამბობენ ძვირად ღირებულ ტრანსფერებზე

ფინანსური ფეარ ფლეის შედეგებს უკვე ნათლად ვხედავთ. მაგალითად, 2011 წელს ზამთრის სატრანსფერო პერიოდში კლუბებმა ახალი ფეხბურთელების შესაძენად 613 მილიონი ევრო დახარჯეს. 2012 წლის იანვარში ეს მაჩვენებელი სულ რაღაც 393 მილიონი ევრო იყო. ამასთან, 2012 წლის ზამთარში დაფიქსირდა ერთადერთი ტრანსფერი, რომლის ღირებულებამ 15 მილიონ ევროს გადააჭარბა. არადა, ერთი წლით ადრე ასეთი ტიპის ტრანსფერი ათზე მეტი იყო.

ასეთივე ტენდენცია შეინიშნება ზაფხულის სატრანსფერო პერიოდშიც. საერთო ჯამში 2012 წლის ზაფხულში კლუბებმა შეიძინეს 18 ფეხბურთელი, რომელთა ფასი 15 მილიონ ევროს აღემატებოდა. გასულ ზაფხულში ასეთი ფეხბურთელი 26 იყო, 2009 წელს კი - 33. მთლიანობაში ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში დაიხარჯა 1.753 მილიარდი ევრო, მაშინ როდესაც გასული წლის ზაფხულში ამ თანხამ 2.249 მილიარდი ევრო შეადგინა.

ეს უკვე ცხადყოფს, რომ ფინანსური ფეარ ფლეი კლუბებზე დიდ ზეგავლენას ახდენს და პლატინის გეგმა ძალაში შედის. უეფას პრეზიდენტად დანიშვნისთანავე მიშელ პლატინიმ განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებდა, რათა ფეხბურთში გარკვეული თანაფარდობა დაეცვა და დაბალბიუჯეტიანი კლუბებისთვისაც მიეცა შანსი.

ჩარს იმედი აქვს, რომ კლიჩკოსთან პირში ჩალაგამოვლებული არ დარჩება

ბევრი იმსჯელეს, თუ ვინ უნდა შეხვედროდა კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ჩემპიონს ვიტალი კლიჩკოს. მეტოქეც გამოუძებნეს - გერმანელი მანუელ ჩარი. კრივში ჩახედულებმა კი თქვეს, სად პოულობენ უკრაინელი ძმები ამ უსახელო მეტოქეებსო. ზოგიერთები კი ამბობდნენ, მძიმე წონაში სახელების მხრივ დიდი დეფიციტია და თუ ვინმე რამეს წარმოადგენს, ისევ და ისევ ეს უკრაინელებიო. ასე რომ, სხვა გზა არ არის, ვიდრე ძმები კლიჩკოები ოთხივე საჩემპიონო ქამარს ფლობენ, სხვას მათი დაუფლების შანსი არა აქვს. ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ კარიერას არ დაასრულებენ.

ვიტალი კლიჩკოს (44 მოგება, აქედან 40 ნოკაუტით და 2 წაგება) 8 სექტემბერს მოსკოვის "ოლიმპიისკის" სტადიონზე 27 წლის მანუელ ჩარი (21 მოგება, აქედან 11 ნოკაუტით და არც ერთი წაგება) საბჭოს ქამარს შეეცილება. გერმანელი მოკრივე ბუკმეკერთა მიერ შედგენილ ფსონებში აშკარა აუტსაიდერია, რაც არავის გაჰკვირვებია - ვიტალი იქნება ეს თუ ვლადიმირი, ყოველთვის ფავორიტთა შორის არიან. ასე რომ, შაბათს დიდი მატჩია. მანამდე კი გავეცნოთ ინტერვიუს მანუელ ჩართან. ჩართან იმიტომ, რომ ვიტალიზე ისედაც ყველამ ყველაფერი იცის და მოსაწყენიც კი გახდა მასთან ინტერვიუები. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა.

- გული ხომ არ გწყდებათ, რომ ბუკმეკერებს არ სჯერათ თქვენი გამარჯვების?

- 2009 წელს, როდესაც პირობა დავდე, რომ სამ წელიწადში ვიტალი კლიჩკოს დავუპირისპირდებოდი რინგზე, სასაცილოდ ამიგდეს. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიულ რინგზე ვაგრძელებდი გამარჯვებას, მაინც დამცინოდნენ. არადა, ყველა მეტოქესთან ვიმარჯვებდი. ამიტომ მხოლოდ საკუთარ თავს უნდა უსმინო. თუ შინაგანი ხმა გეუბნება, რომ გახდები მსოფლიო ჩემპიონი, ესე იგი, ასეც იქნება. მოლაყბეები ჩემპიონად ვერ გაქცევენ. მხოლოდ საკუთარ თავს დაეყრდენი.

- ჰეი-ჩისორას მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე შეხვედით და ყველას გასაგონად დევიდ ჰეისთან პირობა დადეთ, რომ კლიჩკოს სცემდით, და რომ მერე მისი ჯერიც დადგებოდა. ეს რა იყო, თქვენი პიარის ნაწილი?

- არა, მე იქ იმის სათქმელად მივედი, რომ კლიჩკოსთან მატჩის შემდეგ უკრაინელს მძიმეწონოსანთა ოლიმპოდან გადმოვაგდებდი. ეს არ იყო პიარი.

- ძნელი არ არის, ერთდროულად იყო მოკრივეც, მენეჯერიც და პრომოუტერიც?

- თუ ტვინში ყველაფერი რიგზეა, ეს არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს.

- ამისთვის რა არის მთავარი?

- სიმამაცე.

- რატომ დატოვეთ კლუბი Universum (გერმანული საპრომოუტერო კომპანია) და, დიდი ფინანსური რისკის მიუხედავად, გახსენით საკუთარი კომპანია?

ვიტალი კლიჩკოს ჩართან ფავორიტად მიიჩნევენ

- კლუბში ფული გათავდა. იქ რომ დავრჩენილიყავი, ვეჭვობ, კლიჩკოსთან საჩემპიონო მატჩი მქონოდა. დამოუკიდებლად, მარტომ მოვიწყვე ხუთი ორთაბრძოლა. არა მგონია, რომელიმე საპრომოუტერო კომპანიასთან თანამშრომლობის შემთხვევაში ახლა მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის მატჩის გამათვის საშუალება მომცემოდა. ამას მივაღწიე როგორც კერძო მეწარმემ.

- ბევრს გაუკვირდა, რომ ეს მატჩი ჩატარდებოდა რუსეთში. ამასთან, კლიჩკომ მეტოქედ აგირჩიათ თქვენ და არა ალექსანდრ პოვეტკინი (24 მოგება, აქედან 16 ნოკაუტით და არც ერთი წაგება), ან დენის ბოიცოვი (31 მოგება, აქედან 25 ნოკაუტით და არც ერთი წაგება).

- პოვეტკინს რამდენჯერმე მისცა ვიტალიმ წინადადება, მაგრამ მან არც ერთხელ არ მიიღო. ეს არ არის ძმები კლიჩკოების ბრალი. პირადად მე მოხარული ვარ, რომ ორთაბრძოლა რუსეთში ჩატარდება. ეს კარგი ადგილია საჩხუბრად.

- რატომ?

- უამრავი რუსი მეგობარი მყავს. თან რუსეთზე ბევრი რამ ვიცი. ამიტომ ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ. მსოფლიო ჩემპიონი შინ და გარეთ ყველგან სახლშია.

- როგორ გგონია, კლიჩკოებმა რატომ არ შესთავაზეს ორთაბრძოლა მარკო ჰუკს, რომელიც მეტად პოპულარულია გერმანიაში, ამასთან, მის კანდიდატურას სიხარულით შეხვდებოდა ტელეარხი RTL (გერმანული არხი, რომელიც პროფესიულ კრივს და, საერთოდ, სპორტს აშუქებს)?

- კი, მაგრამ ის პირველ მძიმე წონაში გამოდის და 90 კილოგრამს იწონის. ამავე მიზეზით მას არავითარი შანსი არ ექნებოდა კლიჩკოს წინააღმდეგ.

- ჰო, მაგრამ პოვეტკინთან ჩხუბისთვის პირველი მძიმე წონის ლიმიტს გადააბიჯა (წლეულს, 25 თებერვალს, რუსმა პოვეტკინმა გერმანელ ჰუკს მძიმე წონაში მსაჯთა დათვლებით აჯობა) ...

- ისეთ ბიჭებთან, როგორებიც არიან კლიჩკოები, 115 კილოგრამს უნდა იწონიდე. ვფიქრობ, ჰუკისთვის კარგი იქნებოდა, ეჩხუბა პოვეტკინთან.

- პოვეტკინთან მატჩში ჰუკმა ბევრი გააკვირვა. თქვენც მათ შორის ხართ?

- პოვეტკინი კარგი მოკრივეა, კარგი ტექნიკა აქვს, მაგრამ არ გამოირჩევა მძიმეწონოსნისთვის აუცილებელი ფიზიკური მონაცემებით. სამაგიეროდ პირველ მძიმე წონაში ყველას სცემა.

ტელეტოვიჩის ბოლო აკორდი

პირველი გვერდიდან

საქართველოს ზაზას ორმაგი დუბლი და ეპიზოდური დომინაცია არ ეყო. რაღაც მომენტში ზაზამ პერსონალურად მოუგო ბოსნიას ბევრწუთიანი მონაკვეთი. ბრავო!

გიორგი ცინცაძეს საუკეთესო სეზონი აქვს. ჩვენი ბუ აზრზე მოსული ბუ გახდა. ნაკლებს ცელქობს, უფრო ყურადღებით აკეთებს თავის საქმეს და ბოსნიასთან, თუ სადღაც რაღაც არ ეყო, ვერ აიღო ასაღები, გამოასწორებს. ცინცაძე ფარზე მაგარს მუშაობს და 29 წუთში შეცდომა არ უწერია. თუ მართლა იაღლიშის გარეშე დაფარა ეს დრო, მშვენიერი. ყველა ვარიანტში მშვენიერი. გიორგი კარგი იყო. უბრალოდ, მომენტებში ზედმეტად აგრესიული ან ნაკლებად ემოციური უნდა იყოს.

რამდენიმე მაგარი მოხსნა წამოიღო გიორგი შერმადინმა. მუხლზე ოპერაციის შემდეგ გიორგი უკეთესი იქნება. აკლიმატიზაციის პერიოდი ცოტა გაიწელა და ეს მოსულა. შეცდომა ამ ბიჭსაც არ აქვს და 13 წუთში თამაშიდან 4/3 სოლიდური, სანდო სტატისტიკაა. შერმადინის ის ფოლი, ტელეტოვიჩზე სამიანის დროს, ცოტა უსიამოვნო იყო და ტელეტოვიჩი საერთოდ, მაგარი უსიამოვნო ტიპია. როცა კალათბურთის დროს გატერორებს. მირზასთან ინტერვიუ გვაქვს და ხვალ გადახედავთ.

მანუჩარ მარკოიშვილმა ბოლოში მაგარი სამიანი გაუშვა. ძირითადის დახურვამდე 27 წამი რჩება, 2 ქულას ვაგებთ, მანუ აიწია და გაუშვა. და ჩასვა. და მაინც ვერ მოვიგეთ. ბოსნიას ტელეტოვიჩი ჰყავს. ბოლო მეოთხედში საქართველომ მირზას ნაარტყა, დაიჭირა, დისკომფორტი შეუქმნა და იმ ტიპმა მაინც შეგვაწუხა. ბოლო მეოთხედში ტელეტოვიჩი 13 ქულას იღებს. ლიდერის თემა. მარკოიშვილს კომპლიმენტები. მანუმ 12 სროლიდან ნახევარი ათიანში გაუშვა. დაცვაშიც ნორმალურად იდგა. 33 წუთში შეცდომის გარეშე სირბილიც რესპექტაბელურია.

ვიკა სანიკიძე ტელეტოვიჩზე იყო აკრული. პირველ ტაიმში სანიკიძემ ბოსს მაგარი პრობლემები შეუქმნა, მირზამ 4 ქულა აკრიფა და პასიური, უემოციო ან ზედმეტად ემოციური იყო. ტელეტოვიჩი პირველ ტაიმში ჩვეულებრივი ბოსნიელია და ვიკამ საშინაო დავალება კარგად შეასრულა. სანიკიძე კოკოშკოვთან ყველაფერს აბალანსებს და რამდენიმე ლამაზი, ლაზერული პასიც დადო. პასი თორნიკე შენგელიას და თოკოს სლემი. პასი გიორგი შერმადინს და გიოს სლემი. პასი სხვას და სხვამ ვიკას პასი გამოიყენა. ვიკას დაბლ დაბლი და უნივერსალიზმი ჩვენ ვერ გამოვიყენეთ. ცუდია.

სანიკიძესთან ერთად ყველაზე კარგი +/- გვაქვს (+5). ვიკამ დაგლიჯა. ტელეტოვიჩზე იმ ფოლის (სამიანის სროლის დროს) მიღება სუფთა სათამაშო მომენტი იყო. ინსტინქტი, კონტაქტი, ფოლი და მირზა აგდებს. მირზა მეორე ტაიმში თითქმის ყველაფერს აგდებდა. ხდება ხოლმე. ორ თამაშში ტელეტოვიჩმა 52 ქულა დაგვიტოვა გასახსენებლად. ტკბილი, ბოსნიური მოგონებები.

ვიქტორ სანიკიძე და მირზა ტელეტოვიჩი

ილია ყორდანიშვილის ფოტო

გიორგი შერმადინის სლემი

რაღაც მომენტები უკეთ იყო გამოსაყენებელი.

ის, რომ სხვის ტერიტორიაზე 25 მოხსნა ავიღეთ. არეალურად ბევრია. 25 მოხსნა იქ, ბოსნიურ ზონაში და 27 მოხსნა ჩვენსკენ. ჯამში 52. ბოსნიამ 30 (6+24) დახურა გარჩევა და წავაგეთ.

ის, რომ ზაზა ფაჩულიაზე ბოსნიამ 11 ფოლი აკრიფა. და ალბათ, ჯეიკობ პულენს ბოლო სროლის დროს ზაზაზე ბურთის ჩაშვებაც შეეძლო. ან არ შეეძლო, მაგრამ უფრო შეეძლო. პულენმა გააკეთა ის, რაც ლატვიასთან გამოვიდა და ბოსნიასთან იგივე ფოკუსმა ვერ გაჭრა. პულენმა ვერ ჩასვა (5 სამიანიდან 4 სხვაგან გაუშვა) და წავაგეთ. პულენის გამო არ წავაგეთ. უბრალოდ, ბოსნიას ტელეტოვიჩი ჰყავს. ბოლოში, სხვაობა ერთი მირზა იყო.

და პირიქით, ბოსნიამ რამდენიმე ტიპისგან ამ საკვალიფიკაციოს პერსონალური ჰაილაითი მიიღო. ზაკ რაითს 23 ქულაზე მეტი მანამდე აქვს აღებული, მაგრამ ჩვენთან თითქმის კიბორგივით გააკეთა ყველაფერი. 29 წუთი, 12/10 საშუალო სროლა, 6 პასი, აგრესიული დაცვა, 3 ჩაჭრა, ზერო შეცდომა. ზაკმა იქ, ბოსნიაში 11 სროლიდან მხოლოდ 2 შეასრულა ზუსტად და პროცესში, 15 პასი და 13 მოხსნა აკრიფა. რაითმა თბილისში ჩააგდო იმ მომენტებში, სანიკიძე ტელეტოვიჩს საკალათბურთო კასტრირებას, რომ უკეთებდა. რაითმა მირზა შეინახა და მერე ტელეტოვიჩმა შეუბერა. როგორც აკეთებს ხოლმე რა...

ელმედინ კიკანოვიჩმა 23 წუთში 7/6 სროლა გამოიყენა. კიკანოვიჩისგან ბევრია. და ცოტა მოულოდნელი. და ცოტა მტკივნეული.

ანტე მაშიჩმა იქ, ბოსნიაშიც ჩაგვიყარა სამიანები და სპორტის სასახლეში 5 ნაპალმი ააფეთქა. მაშიჩი კარგი შუთერია, რბილი მაჯით და კარგი ნერვებით.

ბოსნიამ თბილისში ნორმალური ნაკრები ჩამოიყვანა. იმ ნაკრებში მირზა ტელეტოვიჩი იყო და სპორტის სასახლეში "ბრუკლინის" ახალმა ფორვარდმა ბოლო აკორდები აიღო. ბოლო აკორდებს თითქმის სულ დიდი, რეალური ბიჭები, შემსრულებლები იღებენ და ის აკორდები სმენადი, სასიამოვნო მოსასმენია.

ტელეტოვიჩის ბოლო აკორდით წავაგეთ და სლოვენიის ვიზას მაინც ავიღებთ. ეს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე იქნება. ტელეტოვიჩთან ერთად.

D ჯგუფი

საქართველო-ბოსნია ..103:107
16:20, 27:20, 31:32, 29:35

საქართველო: **მარკოიშვილი** (**23**+4 მ+4 პ), **ფაჩულია** (**23**+11 მ+2 პ), **შენგელია** (**17**+6 მ+3 პ+3 ჩ), **პულენი** (**13**+3 პ+2 მ+2 ჩ), **სანიკიძე** (**12**+10 მ+5 პ), **ცინცაძე** (**9**+7 მ+6 პ), **შერმადინი** (**8**+6 მ).

ბოსნია: **ტელეტოვიჩი** (**25**+5 მ+5 პ), **რაითი** (**23**+6 პ+3 მ+3 ჩ), **მაშიჩი** (**21**+3 მ), **კიკანოვიჩი** (**16**+3 მ+2 პ), **დედოვიჩი** (**15**+4 მ+3 პ), **ავდიბეგოვიჩი** (**7**+4 პ+3 მ).

მწვრთნელები - დე ნირო და ბონდი

ჰოლივუდის ვარსკვლავი რობერტ დე ნირო საფეხბურთო მწვრთნელის როლს ყველაზე უკეთ შეასრულებდა. ასე მიაჩნიათ თავად მწვრთნელებს.

Yahoo-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად დადგინდა: 30 მწვრთნელიდან ხუთს მიაჩნია, რომ მის როლს ყველაზე უკეთ სწორედ რობერტ დე ნირო შეასრულებდა.

69 წლის მსახიობის კანდიდატურა ალან პარდიუმ, მარტინ ო ნილმა, კევინ კიგანმა, გლენ რედერმა და სტივენ კლოპმა შეარჩიეს.

კლინტ ისტვუდი დაასახელეს ავრაამ გრანტმა, როი ევანსმა და პოლ ლამბერტმა. დევიდ ოლირის, ნეილ უორნოკს და ოუენ კოილს მიაჩნიათ, რომ მათი პერსონაჟის როლს ყველაზე კარგად ჯორჯ კლუნი შეასრულებდა, რაფა ბენიტესმა და ბრაიან ლოუმ ალ პაჩინო აირჩიეს, გლენ ჰოდლმა და მიკ მაკარტიმ კი ბრედ პიტს მიანიჭეს უპირატესობა. დევიდ მოიესს შონ კონორი ურჩევნია, ჟერარ ულიეს - ჰარისონ ფორდი, გორდონ სტრაჩანს კი - დასტინ ჰოფმანი.

რობერტო მანჩინი ყველაზე ორიგინალური გამოდგა. საკუთარი როლის შესრულებაზე "მანჩინომ" ჯეიმს ბონდი დაასახელა და არც ის დაუკონკრეტებია, აგენტ 007-ის როლის შემსრულებელი მსახიობებიდან რომელს გულისხმობდა.

საჩუქარი ავტორბოლის მოყვარულთ

ავტორბოლის მოყვარულებმა ბრწყინვალე საჩუქარი მიიღეს. ფორმულა 1-ის 2013 წლის სეზონის კალენდარი ინგლისელი მილიარდერის, მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ავტორბოლების სერიის მფლობელის, ბერნი ეკლსტოუნის 28 წლის ქალიშვილის, ტამარას ფოტოებით იქნება დამშვენებული.

კრიშტიანუ რონალდუ: "ფული არაფერ შუაშია"

"რეალის" ფეხბურთელმა კრიშტიანუ რონალდუმ განმარტა, რომ მისი ამასწინანდელი განცხადება იმის თაობაზე, რომ "რეალში" თავს უბედურად გრძნობს, ფულს არ უკავშირდება.

"ჩემმა სიტყვებმა, რომ ბედნიერი არ ვარ, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მაშინვე დაიწყეს საუბარი, თითქოს კლუბთან უფრო სარფიანი კონტრაქტის გაფორმებას ვცდილობ და მინდა ხელფასი მომიმატონ. თუმცა, ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი გაცხადდება და დაინახავთ, რომ ფული არაფერ შუაშია. მინდა "რეალის" გულშემატკივრებს გარანტიები მივცე. მოტივაცია და საქმის მიმართ ერთგულება არ დამიკარგავს და ისევ კლუბთან ერთად ყველა ტიტულის მოგება მსურს. საკუთარ თავს და "რეალს" დიდ პატივს ვცემ. მე ის კაცი არ ვარ, რომელიც მინდორზე გავა და ბოლომდე არ დაიხარჯება," - დაწერა რონალდუმ "ტვიტერში".

აბიდალი არ ნებდება

ფეხბურთის გულშემატკივარმა იცის, რომ საფრანგეთის ნაკრებისა და "ბარსელონას" მარცხენა მცველს, ერიკ აბიდალს, 2011 წლის გაზაფხულზე ღვიძლის სიმსივნე აღმოაჩნდა. მალე მას ოპერაცია ჩაუტარდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ ისევ დასჭირდა ქირურგიული ჩარევა. მეორე ოპერაციის შემდეგ აბიდალის ფეხბურთში დაბრუნება ძალზე სათუო იყო, მაგრამ ცოტა ხნის წინათ 32 წლის ფეხბურთელმა განაცხადა, რომ დეკემბრისთვის მოედანზე გასვლას გეგმავდა.

მას შემდეგ, რაც ერიკს მეორე ოპერაცია გაუკეთეს, "ბარსას" ხელმძღვანელებმა მას კლუბში დარჩენა და სამწვრთნელო სამუშაო შესთავაზეს, თუმცა, როცა გაირკვა, რომ ფრანგს მინდორზე დაბრუნება სურს, კატალონიური კლუბის მესვეურები ამ შემთხვევაშიც ფეხბურთელს დაუდგნენ გვერდით და ერიკი "ბარსას" ჩემპიონთა ლიგის განაცხადში შეიყვანეს.

მესი ტრავმირებული თამაშობს

ესპანურ გაზეთ "მარკას" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, "ბარსელონას" არგენტინელი ვარსკვლავი მესი ტრავმირებული თამაშობს.

პოპულარული მადრიდული გაზეთის მტკიცებით, სეზონის დასაწყისში ლეომ მუხლის ქვედა მყესი დაიზიანა და ეს ტრავმა ახლაც აწუხებს, მაგრამ მაინც თამაშობს.

იგივე წყაროს ინფორმაციით, სანაკრებო შეკრებაზე გამგზავრების წინ "ბარსელონას" ფიზმომზადების მწვრთნელმა, ტრავმის გართულების თავიდან აცილების მიზნით, მესის კონკრეტული ინსტრუქციები მისცა.

ალონსო "ფერარით" ჩემპიონობას უმიზნებს

ბელგიის დიდი პრიზზე პირველივე მოსახვევში წარმოქმნილი ავარიის შედეგად რბოლას გამოთიშული მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი "ფერარის" ესპანელი მესაჭე ფერნანდო ალონსო მიიჩნევს, რომ მისი ბოლიდი სისწრაფის მხრივ მეოთხე ადგილზეა, მაგრამ იმასაც ამბობს, რომ ჩემპიონთა დავაში 24-ქულიანი უპირატესობა ჩემპიონობის შანსს აძლევს.

"ვფიქრობ, ჩემპიონატის დასრულებამდე ვითარება დიდად არ შეიცვლება, - CNN-თან საუბარში აცხადებს ფერნანდო ალონსო. - მიმაჩნია, რომ დარჩენილ თვეებში შეუძებელი იქნება სწრაფ ბოლიდებთან მნიშვნელოვანი ჩამორჩენის შემცრიება. სჯობს მანქანის გაუმჯობესებაზე თანმიმდევრულობა შევინარჩუნოთ. გვესმის, რომ შემდგომ ეტაპებზე უკეთესი შანსები ექნება "მაკლარენს". ამიტომაც ისინი კიდევ რამდენიმეჯერ მოიგებენ რბოლას. ასეთი შანსები გვექნება ჩვენც. იგივე ეხება "რედ ბულის" მრბოლელებსაც. რაც მეტი გამარჯვებული იქნება, მით მეტად გაიზრდება ჩვენი შანსები. ყოველ შემთხვევაში ჩემპიონატში შექმნილი ვითარება ერთი შეცდომის დაშვების საშუალებას გვაძლევს. აი, კონკურენტებს კი ჩავარდნის უფლება არ აქვთ. აქედან გამომდინარე სწორედ მეტოქეები იმყოფებიან დიდი წნეხის ქვეშ.

მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის "მაკლარენის" ორი მრბოლელი იბრძვის, იბრძვის "რედ ბულის" ორივე წარმომადგენელი, კიმი რაიკონენი ("ლოტუსი") და მე. და თუ ახლა ჩემპიონობის ექვსი პრეტენდენტია, ორი ან სამი ეტაპის შემდეგ ასეთთა რიცხვი ორამდე ან სამამდე შემცირდება. სწორედ ახლა იწყება სეზონის გადამწყვეტი მომენტი".

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, რომელიც ახლა ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს სკუდერიელთა რიგებში, იტალიურ საჯინიბოშო საკუთარ მომავალზე საუბრობს სააგენტო EFE-თან.

იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამინდელი ხელშეკრულება "ფერარისთან" გათვლილია 2016 წლის ბოლომდე, ესპანელი საკუთარ მომავალზე ფიქრით ჯერ არ იღლის თავს.

"ჯერ ადრეა იმაზე ფიქრი თუ რითი ვიქნები დასაქმებული 2017 წელს. მომავალზე ზუსტად ვერაფერს ვიტყვი. არ ვიცი, მერე რაზე ვიფიქრებ და როგორი მოტივაცია მექნება. თუ ახალი სიმაღლეების დაპყრობის სურვილი კვლავაც მექნება, დავრჩები რბოლებში. და თუ ასეთ გადაწყვეტილებას მივიღებ, ამ შემთხვევაში მხოლოდ "ფერარის" ღირსებას დავიცავ. დიახ, სწორედ ასე იქნება".

გამომცემლობა
ინტელექტი
გთავაზობთ

ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანი

მსოფლიო კლასიკოსები და ქართველი მთარგმნელები
შედევრების თარგმნის უწყვეტი ტრადიცია



დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 47 55 54
inteleqti@caucasus.net
info@intelekti.ge
www.intelekti.ge
www.intelekti.ge